დაწესებულებაში ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება. აღსანიშნავია, რომ შეფასების ინსტრუმენტში მოცემული შეფასების მიმართულება არ იყო შესაბამისობაში მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებთან, შესაბამისად დავალებაც შედგენილი იყო  არასწორად. მაგალითად  პრაქტიკული დავალების ნაცვლად შეფასების ინსტრუმენტში მოცემული იყო წერილობით გამოკითხვა და ტესტური დავალებები. აღნიშნული ცხადყოფს, რომ შეფასებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტი არ არის ვალიდური. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც „ მეტწილად შესაბამისი“ სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია  ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისიწინებულია  შემდეგი აქტივობები :  - 1.  წესში ცვლილება ვალიდაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად ; 2. პროფესიული განათლების  მასწავლებელთა ტრენინგი. აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი.  ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია  ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2.4.2 დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ვერიფიკაციის პროცედურასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგ ეტაპებად:
ა) ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა
ბ) რეგულაციის შემუშავება
გ) რისკების განსაზღვრა
დ) ვერიფიკაციის განხორციელება
ე) შედეგის ანალიზი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვ) უკუკავშირი - დაგეგმვა

დაწესებულებამ აღნიშნული დოკუმენტაციიდან წარმოადგინა მხოლოდ ვერიფიკაციის ანალიზი., დაწესებულებას არ წარმოუდგენია ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანება, ვერიფიკაციის გეგმა და რისკების სქემა. ექსპერტთა ჯგუფისთვის უცნობია, როგორ დაიგეგმა და განხორციელდა ვერიფიკაციის პროცესი
ვერიფიკაციის ანალიზში აღნიშნულია, რომ საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის რისკების მიხედვით შეარჩია 3 პროფესიული მოდული, რომელიც განხორციელდა 2025 წლის 23-27 ივნისს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, ობიექტურობის, გამჭვირვალეობისა და სამართლიანობის შემოწმება აღნიშნულ ვადაში არარეალისტურია. აგრეთვე, ვერიფიკაციის დასკვნაში, არ იკვეთება არასწორად შედგენილ შეფასების ინსტრუმენტისა და ვალიდაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის საკითხი. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულია მხოლოდ ტექნიკური ხასიათის რეკომენდაცია. ვერიფიკაციის ანალიზს ხელს აწერს მხოლოდ განათლების ვერიფიკატორი - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი , ასევე ანგარიშს არ ახლავს თარიღი.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაწესებულების მიერ განხორციელებული ვერიფიკაცია არასრულყოფილია და არ ასახავს რეალურად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შემოწმების შედეგებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაწესებულების მიერ განხორციელებული ვერიფიკაცია არასრულყოფილია და არ ასახავს რეალურად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შემოწმების შედეგებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაწესებულების მიერ განხორციელებული ვერიფიკაცია არასრულყოფილია და არ ასახავს რეალურად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შემოწმების შედეგებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც „ მეტწილად შესაბამისი“ სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

## V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა. 1.2.1
3. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში, ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების განხორციელების პერიოდის გრაფაში მოცემულია „წლის განმავლობაში“ ან „პერიოდულად“. მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის მიხედვით, დაწესებულება სამოქმედო გეგმის


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შეფასებას აკეთებს მხოლოდ წლის ბოლოს, თუმცა მნიშვნელოვანია ერთწლიანი გეგმის გადახედვა მოხდეს მინიმუმ ერთხელ, 6 თვის თავზე, რათა გამოვლინდეს მიმდინარე პერიოდისთვის რა შესრულდა და რომელი ამოცანის შესრულება გადავადდა წლის ბოლომდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს და ცვლილება განახორციელოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიასა და სამოქმედო გეგმაში .**

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.2.3. 4. **განმავითარებელი რეკომენდაცია:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების ერთგვარ „სავიზიტო ბარათს“, შესაბამისად, რეკომენდებულია მისი შინაარსობრივი გაღრმავება — დამატებით უნდა აისახოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და თანამშრომლობის აქტივობები, პარტნიორი ორგანიზაციები და განხორციელებული ინიციატივები, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებული პირებისათვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

*ბ. განმავითარებელი რეკომენდაცია შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში: საქთნო განათლება, კომპიუტერული ქსელი და სისტემები, ბუღალტრული აღრიცხვა*

2.2.1 7. <u>დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია</u> **ბიუჯეტში გაითვალისწინოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსები, ასევე – სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის საჭირო თანხები. ბიუჯეტში საჭიროა განისაზღვროს პროგრამის რენტაბელობის ზღვარი, რათა მოხდეს ფინანსური რისკების შემცირება და პროგრამის ოპერირების გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფა.**

**VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნავს, რომ სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის შეფასებებს.*

**ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება**

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

**1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია**

**1.1.1** პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.„სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, სწავლებისა და კვლევის გზით, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში“ რომელიც განმარტებულია შემდეგნაირად : უმაღლესი განათლების გვერდით უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამების შემუშავება-განხორციელება გაზრდის ერთი მხრივ, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობას, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოების ფართო ფენების ხელმისაწვდომობას განათლებაზე, მათ ჩართვას რეგიონის, შესაბამისად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში. უზრუნველყოს ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებული კვლევები, შრომის ბაზარზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის აკადემიური ცოდნა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, პროფესიულ განათლებასა და მთელი ცხოვრების მანძილზე; ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით უზრუნველყოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადება; დაეყრდნოს სამცხე-ჯავახეთის განვითარების პრიორიტეტებს, ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში; პიროვნების პროფესიული განვითარება საფუძვლად დაედება ამავე პიროვნების დასაქმებას, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა და თვითდასაქმებას. ხელშეწყობა როგორც რეგიონში მცხოვრები ქართველი, ისე სომეხი მოსახლეობისთვის, ერთიანი საგანმანთლებლო და დასაქმების სივრცე ინტეგრაციული პროცესების სერიოზულ ხელშემწყობ ფაქტორებად იქცევა; აღზარდოს მაღალზნეობრივი, დემოკრატიული და ჰუმანური სულისკვეთებით გამსჭვალული თაობები, რაც განაპირობებს ენის, კულტურის, ინტელექტის განვითარების უწყვეტობასა და უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სივრცესთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ...
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანჯგ...

შერწყმას; მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლებისათვის, რეგიონის მულტიკულტურული და მულტიეთნიკური მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენაზე პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, მათი მომზადება დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის, კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით იქცევა თაობების აღზრდის საფუძვლად.

დაწესებულების მისია შესაბამისობაშია პროფესიული განათლების მიზნებთან, მასში გაცხადებულია, როგორც ქვეყნის, ისე პიროვნული და პროფესიული განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის და ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სამცხე -ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნა განპირობებული იყო რეგიონის განვითარების, ახალგაზრდობის რეგიონში დაკავებისა და იმ დემოგრაფიული დისბალანსის აღმოსაფხვრელად, რომელიც წარმოიქმნა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ამ კუთხეში. უნივერსიტეტის მისიაში ასევე ხაზგასმულია ის გამორჩეული ფუნქცია, რაც გამოიხატება მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ რეგიონში ფუნქციონირებადი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობაში: „დაეყრდნოს სამცხე-ჯავახეთის განვითარების პრიორიტეტებს, ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში“. დაწესებულება მულტიპროფილურია და ის ახორციელებს ისეთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს რომლებიც დეფიციტური და მოთხოვნადია რეგიონში.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. „სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვაა არსებული გარემოსა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ძალისხმევისა და რესურსების კონცენტრირებით საქართველოს და უახლოესი მეზობელი ქვეყნების უნივერსიტეტებთან აკადემიური, სამეცნიერო კონტაქტების საფუძველზე და ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებთან ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერების გზით შექმნას კონკურენტუნარიანი ახალი ცოდნა; განავითაროს განათლების, სოფლის მეურნეობის (აგრარული, ვეტერინარული)დარგები, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებანი. უზრუნველყოს რეგიონი როგორც უმაღლესი, ისე პროფესიული განათლების საფეხურზე მომზადებული იურიდიული, საჯარო მმართველობის, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკური განათლებით შეიარაღებული კადრებით. მოამზადოს სპეციალისტები ასევე ჯანდაცვის, ელექტროობა-ინჟინერიის მიმართულებით პროფესიული განათლების საფეხურზე“.

დაწესებულების ღირებულებებია:
- თავისუფლება
- ეროვნულობა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაძ...

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მაჭ... თ. ქვეღაია ნ. მაჭ...

- ტოლერანტობა

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

4. კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის, განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე, ასევე, დაწესებულების შენობაში თვალსაჩინო ადგილას, სენსორულ საინფორმაციო დაფაზე, კოლეჯის კატალოგში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე გამოქვეყნებული მისია, ხედვა და ღირებულებები;
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია;
- ფოტომასალა;
- დაწესებულების ფიზიკურ სივრცეში განთავსებული მისია, ხედვა და ღირებულებები;
- ინტერვიუირება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბაგარი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ო. ქვლივიძე  ნ. მანჯგალაძე

## 1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 თებერვლის N3 დადგენილებით (ცვლილება - აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 სექტემბრის № 34 დადგენილებით.) დამტკიცებულია ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია" . წესის მიხედვით, უნივერსიტეტში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეფექტიანად ორგანიზებისათვის აკადემიური საბჭო ქმნის სამუშაო ჯგუფს (შემდეგში - სამუშაო ჯგუფი), რომელიც დადგენილი მეთოდოლოგიით, განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. სამუშაო ჯგუფში შედის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - ფაკულტეტის მინიმუმ ორი წარმომადგენელი. რაც შეეხება სტრატეგიის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, პროცესი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო უნივერსიტეტის სტრატეგია. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაციის შეჯამებას, გაანალიზებასა და შესაბამისი ანგარიშის წარმოდგენას აკადემიური საბჭოს წინაშე. ამ მუხლით განსაზღვრული შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. ამ მიზნით, უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხედვა, სტრატეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმაში ცვლილებების განხორციელებისათვის საჭიროებების შესახებ და შესაბამისი ცვლილებების პროექტი. აკადემიური საბჭო წარმოდგენილი პროექტის შინაარსის გათვალისწინებით, ამტკიცებს მას ან ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების გადახედვას და ცვლილების საჭიროების შესახებ მოსაზრებების წარმოდგენას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით, სამუშაო ჯგუფი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში პერიოდულად განიხილავს გარკვეული პერიოდის განმავლობაში გამოკვეთილ საკითხებს. განხილვა მიმდინარეობს დაწესებულების რექტორის, პერსონალის, მასწავლებლების, პროფესიულ სტუდენტთა და დამსაქმებელთა ჩართულობით. განხილვის პროცესზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. შეხვედრის მონაწილე პირებს სხდომის ფარგლებში მიეწოდებათ ინფორმაცია განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება რეკომენდაციების გათვალისწინება. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე სამუშაო ჯგუფი სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმასთან ერთად ამუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან.
სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული მიზნები, რომლებიც თავსებადია დაწესებულების მისიასთან. გეგმაში მოცემულია სტრატეგიული მიზნები, შესაბამისი, ამოცანები, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაძლო რისკები. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია მიზნისა და ამოცანის შესაბამისი აქტივობები და განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები. დაწესებულების მიერ შემუშავებულ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაციის შეჯამებას, გაანალიზებასა და შესაბამისი ანგარიშის წარმოდგენას აკადემიური საბჭოს წინაშე. **უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში, ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების განხორციელების პერიოდის გრაფაში მოცემულია „წლის განმავლობაში“ ან „პერიოდულად“. მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის მიხედვით, დაწესებულება სამოქმედო გეგმის შეფასებას აკეთებს მხოლოდ წლის ბოლოს, თუმცა მნიშვნელოვანია ერთწლიანი გეგმის გადახედვა მოხდეს მინიმუმ ერთხელ, 6 თვის თავზე, რათა გამოვლინდეს მიმდინარე პერიოდისთვის რა შესრულდა და რომელი ამოცანის შესრულება გადავადდა წლის ბოლომდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს და ცვლილება განახორციელოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიასა და სამოქმედო გეგმაში .**

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული გეგმა (2019-2025)
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო ჯგუფის ოქმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბატაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. შალ... თ. ქვლივიძე ნ. მანჯგ...

- ინტერვიუს შედეგები.

**1.2.2** პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო უნივერსიტეტის სტრატეგია, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები და სტრუქტურები აისახება სტრატეგიულ გეგმაში. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაციის შეჯამებას, გაანალიზებასა და შესაბამისი ანგარიშის წარმოდგენას აკადემიური საბჭოს წინაშე. (სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით - წელიწადში ერთხელ, ხოლო სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით - 3 წელიწადში ერთხელ). შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. ამ მიზნით, უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხედვა, სტრატეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმაში ცვლილებების განხორციელებისათვის საჭიროებების შესახებ და შესაბამისი ცვლილებების პროექტი.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2023 და 2024 წლის სამოქმედო საბოლოო ანგარიშები. ასევე დაწესებულების პერსონალის ანგარიშები, რომელიც მიემართება სამოქმედო გეგმის შესრულებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. უსდ-ს სამოქმედო გეგმის შეფასების საფუძველზე დგება წლიური ანგარიში, რომლის ანალიზიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: რამ მოახდინა გავლენა გეგმებსა და ფაქტობრივად განხორციელებულ ღონისძიებებს შორის არსებულ განსხვავებებზე; პრობლემა წარმოიშვა დაგეგმვის თუ განხორციელების ეტაპზე; რა არის საჭირო დაგეგმვის პროცესის ეფექტურობის გაზრდისა და დაგეგმილ აქტივობათა უკეთ განხორციელებისათვის. წლიური ანგარიში საფუძვლად ედება შემდეგი წლის სამოქმედო გეგმის შედგენასა და შესაბამისად, სტრატეგიულ გეგმაში განსახორციელებელ ცვლილებებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების ვებ- გვერდზე განთავსებულია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები წლების მიხედვით. ასევე, უნივერსიტეი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს საჯაროდ აცნობს დაინტერესებულ მხარეებს, პროფესიულ მასწავლებლებს, პროფესიულ სტუდენტებს, პარტნიორ ორგანიზაციას და ა.შ.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული გეგმა (2019-2025)
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშები;
- ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

### 3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

**3.1.1** პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 მაისის №11 დადგენილებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების უფლებები და მოვალეობები, სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები, კარიერული მომსახურებები, წახალისებისა და სტუდენტთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები, ასევე — ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის წესები.

სტუდენტთა უფლება-მოვალეობები დამატებით ასახულია უნივერსიტეტის შინაგანაწესში. დაწესებულებაში მოქმედებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტების პერსონალური მონაცემების დაცვისა და მათი დამუშავების წესებს. ყველა თანამშრომელი, რომელსაც პროფესიული სტუდენტების პერსონალურ მონაცემებთან შეხება აქვს, მკაცრად იცავს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს — მათ შორის სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოების, სასწავლო დოკუმენტაციისა და დისციპლინური წარმოების პროცესებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემების დაცვას.

დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცედურები, ასევე რეალურად არსებული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები. დადასტურდა, რომ აღნიშნული პროცედურები სრულ თანხვედრაშია დაწესებულების შიდა წესებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დაწყების ეტაპზე პროფესიულ სტუდენტებს ხვდებიან დაწესებულების რექტორი, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი, იურისტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები. შეხვედრების ფარგლებში, შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში, ისინი სტუდენტებს აცნობენ დაწესებულებაში მოქმედ რეგულაციებს, მათ შორის: შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, უნივერსიტეტის შეფასების სისტემას, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისებს, სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმებს, ასევე სტუდენტთა უფლებებსა და მოვალეობებს.

პროფესიული სტუდენტების უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით პროფესიული სტუდენტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებს, რომ გაეცნო შინაგანაწესს, სწავლის პროცესის მარეგულირებელ წესს და სტუდენტის უფლებებსა და ვალდებულებებს.

უნივერსიტეტის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და სრულად ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული პროცედურები გადაამოწმა პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გამართული გასაუბრებების გზით. რესპონდენტებმა დაადასტურეს საორიენტაციო შეხვედრების ჩატარება, არსებული რეგულაციების შესახებ ინფორმაციის მიღება, ასევე აღნიშნეს, რომ იცნობენ საკუთარ უფლებებს და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ მათ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**3.პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ სამცხე-ჯავახეთის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 18 მაისის N9 დადგენილებით დამტკიცებულია „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“. წინამდებარე წესით რეგულირდება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - უნივერსიტეტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდეგში- პროგრამა) ცალკეული კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების მიღების მიზნით, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების, შეფასების ინსტრუმენტის შერჩევისა და შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირებისა და შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის საკითხები, ასევე შეფასების შედეგების გამოყენებისა და შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემისა და აპელაციის პროცედურების შესახებ. ექსპერტებმა სტუდენტებს სთხოვეს პროცესის აღწერა თუ როგორ ხდებოდა მათი შეფასებამდე ინფორმირება, როგორ იგებდნენ შეფასების შედეგებს, რა ღონისძიებები ტარდებოდა განმეორებითი შეფასების ან აპელაციის შემთხვევებში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ შეფასებამდე 5 სამუშაო დღით ადრე აწვდის მასწავლებელი ინფორმაციას სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ. ასევე, აღნიშნეს, რომ აქვთ ინფორმაცია გასაჩივრების უფლების შესახებ, თუმცა საჭიროება არ დამდგარა. შეფასების შედეგების გაცნობასთან დაკავშირებით სტუდენტებმა განაცხადეს, რომ შედეგებს განმახორციელებელი ინდივიდუალურად, პირადად აცნობს და ელექტრონულ ფოსტაზეც იღებენ შეტყობინებებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;**

უნივერსიტეტსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. არასრულწლოვან სტუდენტებთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურები სრულდება კანონმდებლობის შესაბამისად — ხელშეკრულება ფორმდება მათ კანონიერ წარმომადგენელთან.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 მაისის N11 დადგენილებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის საფუძველზეც ხორციელდება როგორც სრულწლოვან, ასევე არასრულწლოვან სტუდენტებთან ხელშეკრულებების გაფორმება. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, ხელშეკრულება იდება მხოლოდ მის კანონიერ წარმომადგენელთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთან ან მის კანონიერ წარმომადგენელთან დადებულ ხელშეკრულებაში დეტალურად არის ასახული პროფესიული სტუდენტის უფლებები, ვალდებულებები და სწავლების პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პირობები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლებრივ დაცულობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 მაისის №11 დადგენილებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც განსაზღვრულია ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირების და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.
დაწესებულებაში ასევე მოქმედებს „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების — მათ შორის სსსმ და შშმ პირების — სასწავლო საჭიროებების ინდივიდუალურად გათვალისწინებას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მათთვის ადაპტირებულ სასწავლო პროცესს და საჭირო სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას, სტუდენტთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და ჩართულობის დონის გათვალისწინებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- შინაგანაწესი;
- ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა’’;
- „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“;
- პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის წესი“;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ...

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.2.1** პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.**

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და „სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმების“ თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებლები პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების საფუძველზე უზრუნველყოფენ მათთვის კონსულტაციების გაწევას და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე მიმართული შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სტუდენტთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით ინტენსიურად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება. პროფესიული სტუდენტები რეგულარულად იღებენ კონსულტაციებს მასწავლებლებისგან.

პროფესიულ სტუდენტებთან მუშაობა ხორციელდება როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურ ფორმატში. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ მხარდაჭერის სერვისები არა მხოლოდ მასწავლებლებისგან, არამედ სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვაზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებელი ან სხვა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისაგან — როგორც ფორმალური სასწავლო პროცესის ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ექსპერტთა შეფასებით, შესაბამისი ინდიკატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია.

**2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის პროცესი. უნივერსიტეტი, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. აღნიშნულ პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი. ადაპტაციის შეხვედრები მიმდინარეობს ერთი კვირის განმავლობაში, რის შემდეგაც პროცესი პერიოდული კონსულტაციების სახით გრძელდება.

ამ შეხვედრების ფარგლებში სტუდენტებს მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, მეცადინეობების ცხრილებთან, მოდულების არჩევასთან, სწავლის შედეგების დადასტურებასთან, განმეორებით შეფასებასთან, შეფასების შედეგების აპელაციასთან, სასწავლო პროცესის თავისებურებებთან, ქცევისა და ეთიკის ნორმებთან, უსაფრთხოების წესებთან, უნივერსიტეტის სერვისებთან და პროფესიული სტუდენტის სასწავლო თუ ადმინისტრაციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით.

პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული პროცედურა სრულად ხორციელდება ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;**

უნივერსიტეტი პროფესიულ სტუდენტებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს მოქმედი რეგულაციების შესაბამისად და გონივრულ ვადებში. პროფესიული სტუდენტის მიერ ცნობის მოთხოვნის შემთხვევაში, განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს მატერიალური ფორმით

საქმისმწარმოებელთან, რის შემდეგაც იგი იტვირთება ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემაში (Eflow). ცნობა გაიცემა სტუდენტის მომართვიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში ელექტრონული და/ან მატერიალური სახით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის — დიპლომის/სერტიფიკატის აღრიცხვისა და გაცემის წესი“. დიპლომის გაცემის პროცედურები სრულად ხორციელდება აღნიშნული წესის შესაბამისად. დიპლომის მიღებისას პროფესიული სტუდენტი ხელს აწერს დიპლომების აღრიცხვის ჟურნალში, რითაც დაადასტურებს დოკუმენტის უნივერსიტეტიდან გატანის ფაქტს.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიული სტუდენტების ადმინისტრაციასთან მიმართვის სხვადასხვა შემთხვევები, მათ შორის:
— სტუდენტის განცხადება და მასზე გაცემული ცნობა სწავლის ფაქტის შესახებ;
— განცხადება მობილობის შესახებ და შესაბამისი ბრძანება;
— განცხადება სტატუსის შეწყვეტის შესახებ და შესაბამისი ბრძანება;
— სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის შესახებ განაცხადები და მათთან დაკავშირებული ბრძანებები.

აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტებისთვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაწევის ვადები სრულად არის დაცული.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;**

პროფესიული სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი ახალგაზრდულ ორგანიზაციებში, აგრეთვე სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურულ და სოციალურ პროგრამებში. მათ შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში, პროექტებში და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებში.

დაწესებულება ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობას, მათ პროფესიულ და პიროვნულ განვითარებასა და დამატებითი შესაძლებლობების მიღებას, რაც უზრუნველყოფილია სხვადასხვა პარტნიორ ინსტიტუციებთან თანამშრომლობით, ახალგაზრდული პლატფორმებისა და საგრანტო პროგრამების მხარდაჭერით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული ფაქტი დადასტურდა სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად. შესაბამისი ფოტო მასალაც ხელმისაწვდომია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე, რაც დამატებით მიუთითებს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობასა და მათ მიერ სარგებლობაზე შეთავაზებული შესაძლებლობებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

### 5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

პროფესიული სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღებისა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომსახურების სერვისების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ ღიად დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები როგორც სასწავლო პროცესთან, ასევე ადმინისტრაციული და სხვა მომსახურე სერვისებთან დაკავშირებით.

უკუკავშირის შეგროვება ხორციელდება კონფიდენციალურად — სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით. გარდა ამისა, ტარდება დისკუსიები, სადაც სტუდენტები აზიარებენ საერთო მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს. კვლევის დასრულების შემდეგ, მიღებული ანალიზის შედეგები და შესაბამისი რეკომენდაციები წარდგენილია ფაკულტეტის საბჭოსა და პროგრამის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისთვის.

ფაკულტეტის საბჭოს მიერ გაზიარებული რეკომენდაციები სავალდებულოა შესასრულებლად და ითვალისწინებს მომსახურებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისკენ მიმართულ ქმედებებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- „კარიერული სერვისები, წახალისებისა და პროფესიული სტუდენტის ინიციატივების მხარდაჭერა“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის/სერტიფიკატის აღრიცხვისა და გაცემის წესი;
- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის სამოქმედო გეგმა და შესრულების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული ფოტომასალა

**3.2.2** პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის კარიერული მხარდაჭერის მომსახურებას, რომელსაც განახორციელებს პროფესიული განათლების პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის სპეციალისტი. აღნიშნული სპეციალისტი პროფესიულ სტუდენტებს უწევს მუდმივ კონსულტირებას დასაქმების ბაზარზე არსებულ ვაკანტურ პოზიციებთან დაკავშირებით, მათი პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისობის გათვალისწინებით.

უნივერსიტეტი რეგულარულად აწვდის პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობების, ვაკანსიების და შემდგომი კარიერული განვითარების მიმართულებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია დამსაქმებელთა უშუალო მონაწილეობით, რაც უზრუნველყოფს მათ შინაარსობრივ შესაბამისობას რეალურ შრომით ბაზართან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. მათ დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტი მუდმივად უწყობს ხელს მათ დასაქმებას. აღინიშნა, რომ სოციალურ ქსელში ფუნქციონირებს დახურული ჯგუფი, სადაც პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის სპეციალისტი სისტემატურად აზიარებს მიმდინარე ვაკანსიებსა და კარიერულ შესაძლებლობებს.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების განცხადებით, ისინი ხშირად მონაწილეობენ უნივერსიტეტში გამართულ სხვადასხვა შეხვედრებში, რომელშიც დამსაქმებლები არიან ჩართული. ეს შეხვედრები ხელს უწყობს მათ პროფესიულ ქსელთან დაკავშირებას და სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან გაცნობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკა“, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მხარდაჭერის მომსახურება. აღნიშნული პოლიტიკა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის მუდმივად განახლებული ინფორმაციის მიწოდებას დასაქმების შესაძლებლობების, ვაკანსიებისა და შემდგომი კარიერული განვითარების გზების შესახებ.

დაწესებულებას მჭიდრო თანამშრომლობა აქვს სხვადასხვა კომპანიებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას არსებული ვაკანსიების თაობაზე. უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება შეხვედრები, სადაც პოტენციური დამსაქმებლები წარადგენენ საკუთარ ორგანიზაციებს და აცნობენ მონაწილეებს ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებისა და არსებული ვაკანსიების შესახებ. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს როგორც სამუშაოს მაძიებელთა, ისე უკვე დასაქმებულთა კარიერულ წინსვლასა და უკეთეს პირობებში დასაქმებას.

სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მიეწოდებათ ინფორმაცია გამოფენების, ტრენინგების, პრეზენტაციების და პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ კარიერულ განვითარებას. სტუდენტთა ინფორმირება შესაბამისი ვაკანსიების შესახებ ხდება როგორც პირისპირ კომუნიკაციის გზით, ისე სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფების საშუალებით.
კურსდამთავრებულთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად — სატელეფონო კომუნიკაციის გზით, აგრეთვე სოციალურ ქსელებში არსებულ თემატურ ჯგუფებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული მეთოდოლოგია პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევების ჩატარებისათვის. პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის სპეციალისტი პერიოდულად ახორციელებს კვლევებს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართულობით.

კვლევის მონაწილეები წინასწარ ინფორმირებულნი არიან ეთიკური სტანდარტებისა და ანონიმურობის დაცვის შესახებ. მიღებული მონაცემები დამუშავდება განზოგადებული ფორმით, რათა გამოირიცხოს ინდივიდუალური პიროვნების იდენტიფიცირება. სტუდენტებს დამატებით აცნობიერებენ კვლევის მიზანს, ამოცანებსა და საჭირო ვადებს.

კურსდამთავრებულთა მონაცემები სასწავლო პროგრამების მიხედვით სტატისტიკურად მუშავდება, ხოლო კვლევის შედეგები წარმოდგენილია ჩატარებიდან ერთ თვის ვადაში.

იდენტიფიცირებულ საკითხებთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დამატებითი ღონისძიებების გატარება — სემინარები, ტრენინგები ან ინდივიდუალური კონსულტაციები — მიზნად ისახავს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერებას და დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.**

უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით სათანადოდ რეაგირებს განხორციელებული აქტივობებიდან და კარიერული მომსახურების კვლევებიდან მიღებულ შედეგებზე, რაც აისახება სხვადასხვა სამსახურის შემდგომ საქმიანობაზე და შედის დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კარიერული მომსახურების კვლევების შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე უნივერსიტეტი უწყვეტად აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს, რაც განსაზღვრულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 მაისის №11 დადგენილებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესების მარეგულირებელ წესში“, კერძოდ, მუხლში 14 — „კარიერული სერვისები, წახალისებისა და პროფესიული სტუდენტის ინიციატივების მხარდაჭერა“.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „კარიერული სერვისები, წახალისებისა და პროფესიული სტუდენტის ინიციატივების მხარდაჭერა“.
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები;
- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტთან გასაუბრების შედეგები;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა;
- დამსაქმებელთან შეხვედრების ამსახველი ფოტომასალა;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

**4.1.1** პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწესებულების წესდების მიხედვით უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ხოლო 2. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. წარმომადგენლობითი საბჭოს 25/02/2025 დადგენილებით დამტკიცებულია დაწესებულების სტრუქტურა, სადაც გამოყოფილია პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტი ახალქალაქის მისამართზე, რაც შეეხება ახალციხის მისამართს, პოზიციები პროფესიული განათლების მიმართულებით ძირითადად შეთავსებული აქვთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც სტრუქტურაში და არც თანამდებობრივ დებულებებში არ იკვეთება დაქვემდებარებები. აგრეთვე სტრუქტურაში არ არის გამოყოფილი ზოგიერთი პოზიცია. მაგალითად პროფესიული მიმართულების კოორდინატორი. პერსონალის ხელშეკრულებაში და თანამდებობრივ დებულებებში მოცემული ფუნქცია მოვალეობები განსხვავებულია ერთმანეთისგან . მაგალითად სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსთან ხელშეკრულება გაფორმებულია 17.02.2025 წელს, მისი სამუშაო აღწერილობა მოიცავს პროფესიული სწავლების მიმართულებით შემდეგ პუნქტებს : ა)ხელი შეუწყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას; ბ) ზედამხედველობა გაუწიოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას პროგრამებით გათვალისწინებულ საკითხებს გეგმის შესაბამისად. გ)პროფესიულ სტუდენტებთან მუდმივად იქონიოს კომუნიკაცია დ)იყოს ჩართული სასწავლო პროცესის ორგანიზებაში; ე) უზრუნველყოს სტუდენტური სერვისების ორგანიზება და მიწოდება. ვ) ჩაერთოს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკების ორგანიზებაში; ზ) უზრუნველყოს სასწავლო ცხრილების შედგენა და სტუდენტების ინფორმირება. თუმცა დაწესებულების მიერ 2025 წლის 16 ივნისს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამტკიცებულ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის დებულებაში და არც წარმომადგენლობით საბჭოს მიერ დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების დებულებაში არ იკვეთება არც ერთი ზემოაღნიშნული ფუნქცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც ერთ დოკუმენტში არ არის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებებისა და უწყისების აღრიცხვასა და შენახვაზე პასუხისმგებელი პირი. გარდა ამისა, თანამდებობრივ დებულებაში გაწერილი ფუნქციები სრულად არ ფარავს პროფესიული განათლების მიმართულებით ყველა პროცესს. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ახალქალაქის სასწავლო მისამართზე არ ჰყავდა განსაზღვრული პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი, როგორც გასაუბრებისას დადგინდა, ზემოაღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირი განთავისუფლდა 2025 წლის აპრილში. დაწესებულებაში ვიზიტისას უნივერსიტეტს გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია 55 პოზიციაზე. აღნიშნული ვაკანსიები ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე.

ექსპერტთა ჯგუფმა ადმინისტრაციულ პერსონალთან რამდენჯერმე ჩაატარა გასაუბრება, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებს დამატებითი განმარტება სჭირდებათ საკუთარი ფუნქციების შესახებ. **შესაბამისად ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია** ***ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისიწინებულია შემდეგი აქტივობები: 1. ახალი საშტატო ერთეულების დებულებების გადახედვა-კორექტირება; 2. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, განაწილება თანამშრომლეთა ჩართულობით/გაცნობის უზრუნველყოფა; 3. განახლებული ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება . აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.***

2.დაწესებულებაში ფუნქციების გადანაწილება ხელს არ უწყობს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, რადგან წარმოდგენილი სტრუქტურული და თანამდებობრივი დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს პასუხისმგებლობების არათანმიმდევრულ და ფრაგმენტულ განაწილებას. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ადმინისტრაციულ პერსონალს, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ პერსონალი მიმდინარე პროცესებსა და მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს ქაოტურად განმარტავდა. მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობა ფაქტიურად ხორციელდება, მისი განხორციელება ხდება არასისტემურად და არათანმიმდევრულად. რაც მიუთითებს პროცესების ორგანიზებისა და ფუნქციების არასწორ განაწილებაზე. **შესაბამისად ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისიწინებულია შემდეგი აქტივობები: 1. ახალი საშტატო ერთეულების დებულებების გადახედვა-კორექტირება; 2. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, განაწილება თანამშრომლეთა ჩართულობით/გაცნობის უზრუნველყოფა; 3. განახლებული ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება . აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.*

3.დაწესებულებაში პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი. მის ფუნქცია- მოვალეობებში, რომელიც გაწერილია 2013 წელს დამტკიცებულ თანამდებობრივ დებულებაში იკვეთება უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების სისტემური შეფასება და განვითარება, თუმცა 2025 წლის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში მისი ფუნქციები შემდეგია: ზ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების – დიპლომებისა და დიპლომების დანართების მომზადებაში, თ) უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავებას.

ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ის პასუხისმგებელია პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმის შესრულებასა და ადმინისტრირებაზე. მეთოდოლოგიის შესწავლისა და ადგილზე გამოთხოვილი დოკუმენტების მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მონაწილეობს სხვადასხვა პროცესში. მაგალითად: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის მე-7 მუხლის ,,ინდივიდუალური გეგმის შემუშავება“ მე -6 პუნქტის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს, რამაც უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი ცოდნის და უნარების შეძენა. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესის (აკადემიური საბჭოს "22" "06" 2020 წლის N25 დადგენილება, ბოლო ცვლილება აკადემიური საბჭოს 2025 წლის 23 ივნისის დადგენილება #73) მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან ერთად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესის მე-3 მუხლის, მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე შეარჩევენ კანდიდატს.
დაწესებულების რექტორის 2025 წლის 26 ივნისის N753914 ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემებში სტუდენტთა/ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, პერსონალთა პერსონალურ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაცემთა დამუშავებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ იგი არის ჩართული პროფესიული განათლების მიმართულებით მიმდინარე თითქმის ყველა პროცესში. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ჩართულია კოლეჯში მიმდინარე პროცესებში ის ვერ შეძლებს ობიექტურად შეაფასოს და შეიმუშაოს განვითარების რეკომენდაციები. შესაბამისად ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია** ***ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისიწინებულია შემდეგი აქტივობები: 1. ახალი საშტატო ერთეულების დებულებების გადახედვა-კორექტირება; 2. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, განაწილება თანამშრომლეთა ჩართულობით/გაცნობის უზრუნველყოფა; 3. განახლებული ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება . აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების სტრუქტურა;
- თანამდებობრივი დებულებები;
- პერსონალის პირადი საქმე (პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები);
- პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან გაფორმებულია შეთანხმება;
- ინტერვიუს შედეგები

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის შესაბამისად. დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში ადამიანური რესურსი განსაზღვრულია როგორც - ადამიანები, რომლებიც ინდივიდუალურად ან/და ჯგუფურად მუშაობენ კოლეჯის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისათვის. თითოეულ დასაქმებულში გაერთიანებულია მისი ცოდნა, უნარები, გამოცდილება, შესაძლებლობები, პიროვნული თვისებები, ინტერესები, მიზნები, მისწრაფებები. კოლეჯს განსაზღვრული აქვს ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და ამოცანები. ადამიანური რესურსების მართვის მიზანია: კოლეჯის შესაბამისი კომპეტენტური და მოტივირებული პერსონალით უზრუნველყოფა; დასაქმებულ პირთა გუნდური, ერთობლივი და წარმატებული მუშაობის ხელშეწყობა; დასაქმების გამჭირვალე პროცედურები, სამართლიანი და ეფექტური დასაქმების პოლიტიკა; დ) თანამშრომელთა პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ხელშეწყობა; ე)თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგი, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სამართლიანი შეფასება და წახალისების ფორმების გამოყენება. ადამიანური რესურსების მართვის ამოცანაა: თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე ზრუნვა; თანამშრომლებთან ურთიერთობისას შრომის კანონმდებლობის დაცვა და სხვა ამოცანები. დაწესებულების პერსონალი იცნობს შინაგანაწესისა და უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკას, რაც ხელმოწერით არის დადასტურებული.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკაოტორის მოთხოვნა დაკმაყოფოლებულია

2.დაწესებულებაში დამტკიცებულია სსიპ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 22 ივნისს N25 დადგენილებით, ოქმი N 3 (ცვლილება აკადემიური საბჭოს 2025 წლის 23 ივნისის დადგენილება #732004,) - “პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი“. ამავე წესში დანართი 1-ის თანახმად გაწერილია „პროფესიული მასწავლებლის მიღების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცედურები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის მართვის მართვის პოლიტიკა“. დოკუმენტის მესამე თავში გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის მიზნები, დაწესებულების პერსონალის მოზიდვა, შერჩევა და განვითარება, პერსონალის მოძიების საშუალებები, პერსონალის შერჩევა, თანამდებობის დაკავების წესი და სხვა. აღნიშნულ წესში ზოგადად არის ნახსენები პერსონალის სამსახურში მიღების წესი, თანამდებობაზე დანიშნვისა და თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხები. რაც შეეხება ადმინისტრაციას, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალს (როგორც საშტატო პერსონალს ასევე, სახელშეკრულებო (შტატგარეშე) პერსონალს), დეკანის მოადგილის, გარდა რექტორის მოადგილისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტისა, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. საშტატო პერსონალის შერჩევა ხდება კონკურსის წესით. დაწესებულებას ცალკე აქვს გაწერილი სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო (წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის N92 დადგენილებით, ბოლო ცვლილება - 2024 წლის 20 სექტემბრის N1170059 დადგენილება, ოქმი N8 დებულება), თუმცა აღნიშნულ დებულებაში საუბარია მხოლოდ მართვის ორგანოების არჩევნებზე.

დაწესებულების მეთოდოლოგიაში არ არის გაწერილი პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვის და დასაქმების პროცედურები ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. დაწესებულებაში პესონალის შერჩევის პროცესი ბუნდოვანია, ვინაიდან არც მეთდოლოგიაში და არც პრაქტიკაში არ ჩანს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რის მიხედვით ხდება ადმინისტრაციული პერსონალის დასაქმება. **შესაბამისად ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია *ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისიწინებულია შემდეგი აქტივობა: 1.მართვის პოლიტიკის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება. აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.***

3.უნივერსიტეტში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა რამდენჯერმე გამოითხოვა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც გაწერილია - “პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესში, თუმცა არ წარმოუდგენია ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები , შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობას. **შესაბამისად ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია** ***ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისიწინებულია შემდეგი აქტივობა: 1.მართვის პოლიტიკის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება . აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.***

**4.** დაწესებულებაში ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაზეც მოწმობს შემდეგი გარემოებები - უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის რექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფები, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისათვის იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი და სხვა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პერსონალის პირადი საქმეები;*
- *დაწესებულების წესდება;*
- *დაწესებულების შინაგანაწესი;*
- *დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;*
- *სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა ;*
- *პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;*
- *სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს შედეგები.*
- *ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2 პერსონალის განვითარება**

**4.2.1** პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას. დაწესებულებას მართვის პოლიტიკის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი აქვს პერსონალის განვითარებისა და საქმიანობის შეფასების მექანიზმი. უნივერსიტეტში

პროფესიული განვითარებისა და შეფასების მექანიზმების მიზანია, ხელი შეუწყოს თანამშრომლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, საჭირო უნარების ჩამოყალიბებასა და კომპეტენციების ამაღლებას; უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლისათვის განვითარების ხელმისაწვდომობას და თანაბარ პირობებს; დოკუმენტში დადგენილი წესი და შეფასების კრიტერიუმები წინასწარაა გაცნობილი პერსონალისთვის. თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროების ინიცირება ხდება მისი უშუალო ხელმძღვანელის მიერ. დაწესებულებაში შემუშავებულია პერსონალის შეფასების სისტემა, რომელიც გულისხმობს ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას. შეფასება ხდება ყოველწლიური ანგარიშის საფუძველზე, თვითშეფასების გზით, სტუდენტთა შეფასების გზით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის შეფასების მონაცემების შეჯამებასა და ანალიზზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის განმახორციელებელი პირების შეფასება ხდება პროფესიული სტუდენტის მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.პერსონალის განვითარების მექანიზმი გაწერილია პერსონალის მართვის პოლიტიკის მე-7 მუხლში „პერსონალის შეფასება და სამუშაო კმაყოფილების მონიტორინგი“. პერსონალის შეფასების მიზანია უზრუნველყოს აკადემიის თანამშრომელთა პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების ობიექტური შეფასება და მასზე დაყრდნობით განსაზღვროს პერსონალის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების შესაბამისი აქტივობები. ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებით, პერსონალის შეფასების სისტემა გულისხმობს ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას, შეფასება ხდება ყოველწლიური ანგარიშის საფუძველზე, თვითშეფასების გზით, სტუდენტთა შეფასების გზით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის შეფასების მონაცემების შეჯამებასა და ანალიზზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებითა და დაწესებულების დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმაში უნივერსიტეტს გათვალისწინებული აქვს განმავითარებელი ღონისძიებები და საჭიროების შესაბამისი ტრენინგების ჩატარება. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით კერძოდ, დაწესებულება პერსონალის ზრდა - განვითარებისათვის უნივერსიტეტი ატარებს გამოკითხვებს, ტრენინგებს, კონფერენციებს, აფასებს შესრულებულ სამუშაოს და საჭიროების შემთხვევაში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ახდენს მომზადება- გადამზადებას. ინტერვიუს დროს პერსონალის გამოკითხვისას დადასტურდა, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ ზემოთ ხსენებულ ღონისძიებებში. საჭიროებისამებრ იწვევენ დარგის ექსპერტებს. აღსანიშნავია რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყო ინგლისური ენისა და კომპიუტერული უნარ-ჩვევების ტრენინგ კურსების ჩატარება, რისი საჭიროებაც გამოკითხვის შედეგად იქნა გამოკვეთილი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, კერძოდ: უნივერსიტეტში პერსონალის მოძიებისათვის გამოიყენება: უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; სოციალური ქსელები; უნივერსიტეტის გაზეთი და სხვა, მათ შორის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები. ახალი თანამშრომლის აყვანისას, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, რომელიც ასევე გაწერილია მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, აღნიშნულ აქტივობას უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ახალი თანამშრომელი ეცნობა და ხელს აწერს თანხმობის შესახებ შესაბამის დოკუმენტს როგორიცაა მაგალითად საათობრივი დატვირთვა, სამუშაოს აღწერილობა, საჭიროების შემთხვევაში პირადი მონაცემების გამოყენება და ვიდეო კონტროლის განხორციელება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის ზოგადი საფუძვლების თანახმად უნივერსიტეტში არსებობს დამსახურებასა და თანასწორი მოპყრობის პრინციპებზე დაფუძნებული წახალისების მექანიზმები, რაც ასახულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესში. დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. თითოეული დასაქმებულის წახალისება ხორციელდება შინაგანაწესის მე-14 მუხლის მიხედვით, რომელიც თანამშრომელს მოვალეობის კეთილსინდისიერად და სანიმუშოდ შესრულებისთვის. ასევე პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად ადამიანური პერსონალის სამსახურიდან წასვლით გამოწვეული შესაძლო შეფერხებების თვიდან აცილების მიზნით გამოიყენება შემდეგი პრევენციული მექანიზმები: სამუშაო გარემოს გაუმჯობესება შექმნა, შესაბამისი ანაზღაურების და სხვა წახალისების მექანიზმების გათვალისწინებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა ;
- „პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგები“;
- პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტო მასალა;
- დაწესებულების წესდება; შინაგანაწესი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ...

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბამ... თ. ქვლივიძე ... ნ. მამ...

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

**5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მდებარეობს ორ ქალაქში-ახალციხე(II კორპუსი) და ახალქალაქი(IVკორპუსი).

II სასწავლო კორპუსი მდებარეობს ქ. ახალციხე რუსთაველის ქუჩა N122. შენობა დაწესებულების საკუთრებაა. მისი საერთო ფართია 25348.00 კვ.მ(საკადასტრო კოდი N63.18.35.182) რომელიც განაწილებულია სამ სართულზე.

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის გამოყოფილია:

1. პროფესიული პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა"-ერთი AB გარემო;
2. პროფესიული პროგრამა „საექთნო საქმე"-ერთი AC გარემო
3. პროფესიული პროგრამა „ფარმაცია"-ერთი AC გარემო

ასევე სივრცეები ადმინისტრაციული პერსონალისთვის, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის, საკონფერენციო და სპორტული დარბაზები, ღია სპორტული მოედანი, კვების ობიექტი. 2018 წელს მოეწყო შშმ პირებისათვის ადაპტირებული სანიტარული კვანძები და პანდუსი. კორპუსის ტერიტორიაზე მოწყობილია ღია ავტოსადგომი, სადაც გამოყოფილია სპეციალური ადგილი შშმ პირთათვის, საიდანაც შესაძლებელია შეუფერხებლად კორპუსამდე მიღწევა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია მატერიალური რესურსით: ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, პრინტერით, სკანერით. გამოყოფილია სივრცე არქივისთვის და ცალკეა განთავსებული სამკითხველო დარბაზი.

უნივერსიტეტის IV სასწავლო კორპუსი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია სარგებლობის უფლებით(არსებობის ვადით) მისამართზე ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის ქუჩა #119/2, საერთო ფართობი 58564.00 კვ.მ(საკადასტრო კოდი N 62.09.60.118) შენობის სრული რეკონსტრუქცია ჩატარებული იქნა სსიპ საგანმანათლებლო სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 2020-2023 წლებში. 2024 წლის იანვარში აღნიშნული კორპუსი გადაეცა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით. შენობა მოიცავს ორ სართულს. აღნიშნულ ფართში განთავსებულია:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროფესიული პროგრამა “კომპიუტერული ქსელები და სისტემები“-ერთი AB გარემო
2. პროფესიული პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“-ერთი AB გარემო, ერთი C გარემო და ერთი სპორტული დარბაზი(ინტეგრირებული პროგრამისთვის).

ასევე სივრცეები ადმინისტრაციული პერსონალისთვის, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის, საკონფერენციო დარბაზი, სპორტული დარბაზი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია მატერიალური რესურსით: ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, პრინტერით, სკანერით. გამოყოფილია სივრცე არქივისთვის და ცალკეა განთავსებული სამკითხველო დარბაზი.. მატერიალური რესურსის ფლობის შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას ავტორიზაციის ვადით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 14 სექტემბრის N35 დადგენილებით დამტკიცებულია *„მატერიალური რესურსების მართვის წესი“*, აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების განკარგვის წესს, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების მიხედვით რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას. რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და თანამშრომელთა მიერ უნივერსიტეტის მატერიალური რესურსებითა და საერთო სარგებლობის სივრცეებით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

უნივერსიტეტის სტუდენტებს, მსმენელებსა და თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზით, იქ განთავსებული კომპიუტერებითა და პერიფერიული მოწყობილობებით, ასევე სხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. პროფესიულ სტუდენტებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ სამუშაო ან სასწავლო საათებში გამოიყენონ უნივერსიტეტის აუდიტორიებში, კაბინეტებში, ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ოთახებსა და სასწავლო სახელოსნოებში არსებული ინვენტარი (აღჭურვილობა) და კომპიუტერული ტექნიკა — უსაფრთხოების წესების დაცვის პირობებში.

სტუდენტებსა და თანამშრომლებს ასევე შესაძლებლობა ეძლევათ ისარგებლონ ინტერნეტით, მოიძიონ სასწავლო ინფორმაცია, გადმოწერონ ან ჩაიწერონ მასალები ელექტრონულ მატარებლებზე, ისარგებლონ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით, შეასრულონ პრაქტიკული დავალებები და საჭიროების შემთხვევაში გააკეთონ ქსეროასლები. უნივერსიტეტის ქსელის ადმინისტრატორი უზრუნველყოფს ტექნიკური მხარდაჭერითა და კონსულტაციებით ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსები სრულად ხელმისაწვდომია და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ და ეფექტიან განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;**

დაწესებულებაში მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული *„სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი“*, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის ტერიტორიისა და შენობის დასუფთავების, ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების, ასევე სამუშაო და სასწავლო სივრცეების სველი წესით დალაგებისა და დეზინფექციის მექანიზმებს.

დაწესებულების თითოეულ კორპუსში დასაქმებულია ორი დამლაგებელი, რომელთა სამუშაო აღწერილობა მოიცავს ტერიტორიისა და შიდა სივრცეების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფას. აღნიშნული ნორმების დაცვა დასტურდება როგორც ჰიგიენური საშუალებების შეძენის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციით, ასევე ადგილზე განხორციელებული ვიზუალური დათვალიერების შედეგად.

ნარჩენების გატანა ხორციელდება ახალციხის მერიის დასუფთავების სამსახურის და „ა(ა)იპ ახალქალაქის სერვისცენტრი“, მიერ, რომლის მომსახურებისთვის დაწესებულება ყოველთვიურად იხდის შესაბამის მოსაკრებელს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რომელიც ფუნქციონირებს ბუნებრივი აირით. იგი უზრუნველყოფს გათბობით ყველა სასწავლო აუდიტორიას, ლაბორატორიას, სასწავლო სახელოსნოსა და სველ წერტილებს. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია როგორც კომუნალური გადასახადების ქვითრებით, ასევე ფაქტობრივი გარემოებით — კერძოდ, ვიზუალური დათვალიერებითა და სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2022 წლის 10 ოქტომბრის N23 დადგენილებით დამტკიცებულია „სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების მექანიზმები“. აღნიშნული ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა; შრომის უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა; მმართველობითი პასუხისმგებლობის განაწილება; რისკების შეფასება; ინციდენტების ანგარიშგების ფორმა; ინსტრუქტაჟის ჩატარების აღრიცხვის ჟურნალი; უსაფრთხოდ მუშაობის ინსტრუქტაჟი; საგანგებო სიტუაციების ინსტრუქტაჟი. დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად პერიოდულად ახორციელებს რისკების შეფასებას, განმავითარებელი რეკომენდაციების გაცემას, ასევე პერიოდულად ტარდება შესაბამისი ინსტრუქტაჟები, რასაც ადასტურებს, როგორც გასაუბრების შედეგები, ასევე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის წლიური ანგარიშები და დასწრების ფურცლები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 დეკემბრის №54 დადგენილებით დამტკიცებული დოკუმენტის — *„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მათი შენახვისა და გამოყენების წესის“* საფუძველზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი მასალებითა და ნედლეულით ხორციელდება მოქმედი სასწავლო პროგრამების მოთხოვნებიდან გამომდინარე. მომარაგებას უზრუნველყოფს ფინანსური დაგეგმარებისა და შესყიდვების სამსახური, რომელიც სახელმწიფო შესყიდვებს ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა დოკუმენტაცია, მათ შორის:

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამსახურებრივი ბარათები მოდულის განხორციელებისთვის საჭირო მასალა-ნედლეულის მოთხოვნის შესახებ;
- მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებიც გაფორმებულია მატერიალური რესურსების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმოწერით;
- მოდულის დასრულების შემდგომ შედგენილი სამსახურებრივი ბარათები დარჩენილი მასალა-ნედლეულის ჩამოწერის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა გასაუბრება პროფესიული სტუდენტებთან, რომლებმაც დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალები და ნედლეული მათ შეუფერხებლად მიეწოდებათ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა რეგულირდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 25 დეკემბრის №17 დადგენილებით დამტკიცებული *„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის დებულების“* საფუძველზე.

აღნიშნული დებულება ითვალისწინებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეგულარულ შემოწმებას.

დებულებით განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი მოიცავს როგორც უნივერსიტეტის რესურსების რეგულარულ შეფასებას, ისე კვლევის კომპონენტს — მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვას მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობის, საკმარისობისა და რელევანტურობის შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგენილი წესის შესაბამისად ტარდება ინვენტარიცაზია. შეფასების შედეგების საფუძველზე უნივერსიტეტი ახორციელებს რესურსების გაუმჯობესებას, განახლებასა და საჭიროების შემთხვევაში — შეკეთებას, რითაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის აზომვითი ნახაზისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია გამიჯნული სანიტარული კვანძები. ისინი მუდმივად მარაგდება წყლით, უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებითა და ვენტილაციით, სათანადოდ მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას.

სველი წერტილები ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. უნივერსიტეტის შენობაში მოქმედებს ლიფტი, ხოლო სველი წერტილები განთავსებულია სამივე სართულზე. ყველა სანიტარული კვანძი მოწესრიგებულია სათანადო დონეზე და დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**9.ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების შენობაში განთავსებულ სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილ სივრცეებს, მათ შორის ბიბლიოთეკას აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესისათვის შესაბამისი პირობების შექმნას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. **სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;**

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ შენობაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს როგორც საგანმანათლებლო, ისე ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანად წარმართვას. სასწავლო გარემო და სამუშაო სივრცეები განაწილებულია ისე, რომ უზრუნველყოფილია პროცესების შეუფერხებელი მიმდინარეობა და მათი ურთიერთშეთანხმებული ფუნქციონირება. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

10. **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №47 დადგენილებით დამტკიცებულია *„სამეცნიერო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“.* აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონულად, ისე ბიბლიოთეკის სივრცეში — გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ბიბლიოთეკა განთავსებულია უნივერსიტეტის პირველ სართულზე და უზრუნველყოფილია შესაბამისი ფართით, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით — ინტერნეტთან მიერთებული კომპიუტერებითა და პრინტერით. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო სტანდარტების შესაბამისად და გატარებულია საინვენტარო წიგნში.

ბიბლიოთეკაში მოქმედებს სასწავლო ლიტერატურის ელექტრონული კატალოგი, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული მასწავლებლებისთვის, ისე სტუდენტებისთვის. ბიბლიოთეკის ფონდი — ბეჭდურიც და ელექტრონულ მატარებლებზეც — შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. მისი შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის საჭირო რესურსებით სრულფასოვან მხარდაჭერას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბაგარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მამ [signature] თ. ქველაძე ნ. მაწნაძე

- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ✓ იჯარის ხელშეკრულება;
- ✓ შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- ✓ განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები;
- ✓ „სასწავლო პროცესის მასალითა და ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების“ წესი;
- ✓ დასუფთავების, ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების წესი;
- ✓ შევსებული სპეციალური ფორმა, რომლითაც დასტურდება სივრცეების/ფართების ფლობა;
- ✓ წყლისა, დასუფთავებისა და ელექტროენერგიის გადახდის ქვითრები;
- ✓ მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის წესი ;
- ✓ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ✓ ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ✓ მიღება ჩაბარების აქტები ;
- ✓ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ჩატარებული კვლევის შედეგები;
- ✓ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგები;

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები: დამონტაჟებულია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, შენობაში წესრიგის დაცვის მიზნით შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო ჩანაწერის/შენახვის ფუნქციით აღჭურვილი ვიდეო კამერები. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2021 წლის 28 დეკემბრის N57 დადგენილებით დამტკიცებულია „უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია" სადაც გაწერილია უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები. უნივერსიტეტმა ქ. ახალციხეში მდებარე კორპუსის შემთხვევაში წარმოდგინა კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ და ასევე წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. საევაკუაციო გზებზე/გასასვლელებში ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსების ადგილებში გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის სატელეფონო ნომერი. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „გრიფინი" შენობის პერიმეტრზე უსაფრთხოების დაცვის მომსახურებაზე. დაცვის თანამშრომელი ვალდებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის გამართულად მუშაობასა და ჩანაწერების შესაბამისი წესით შენახვაზე.

რაც შეეხება ქ. ახალქალაქში განთავსებულ მეოთხე კორპუსს წარმოდგენილი არ იქნა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. **შესაბამისად ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც „ ნაწილობრივ შესაბამისი" სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია** ***ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისიწინებულია შემდეგი აქტივობა - უნივერსიტეტის მიერ ჰიდრანტში წლის მიწოდების შესაბამისი მოთხოვნების უზრუნველყოფა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოწვევა დასკვნისთვის. აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 15 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.***

2. **დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რის თანახმადაც პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მედდა. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, შენობაში განთავსებულია სამედიცინო დახმარების ოთახი აღჭურვილი პირველადი სამედიცინო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დახმარებისთვის საჭირო ინვენტარით და საშუალებებით. დაწესებულებაში წარმოებს შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ტელეფონის ნომრები, რომლებზეც უნდა მოხდეს დაკავშირება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში.

ქ. ახალციხეში ხელშეკრულება (N88) გაფორმებულია მედდასთან ხოლო ქ. ახალქალაქის მისამართზე არ არის პირველი გადაუდებელი დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი პირი, როგორც ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ირკვევა, მან 2025 წლის გაზაფხულზე დატოვა დაკავებული პოზიცია. შესაბამისად, მიმდინარე ეტაპისთვის ახალქალაქის მისამართზე არ მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. მექანიზმები. **შესაბამისად ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც ,, მეტწილად შესაბამისი" სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია** ***ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისიწინებულია შემდეგი აქტივობა - ახალქალაქის მისამართზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ამოქმედება . აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 1 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.***

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

დაწესებულებაში 2025 წლის 8 ივლისის ცვლილების ბრძანებით №836948 დამტკიცებულია „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის სტრუქტურა, წევრები და მათი ფუნქცია-მოვალეობები", ხოლო №508 ბრძანებით — **„საგანგებო მართვის გეგმა"**, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან — საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

საგანგებო შტაბის მიზანია უნივერსიტეტში შექმნილი საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელება. შტაბი უზრუნველყოფს წყალდიდობის, ხანძრის, მიწისძვრისა და სხვა ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების დროს პროფესიული სტუდენტებისა და დასაქმებულთა დაცვის საერთო ორგანიზაციული ღონისძიებების წარმართვას.

გარდა ამისა, შტაბის საქმიანობა მოიცავს:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და მათი განვითარების შემთხვევაში შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებების შემუშავებასა და ორგანიზებას;
- საფრთხეების იდენტიფიცირებასა და შეფასებას;
- საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი, საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების განხორციელებას.

უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს **საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა**, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია სასწავლო აუდიტორიებშიც.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

შენობის მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვის მიზნით  უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი“, რომლის მიხედვითაც, წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები არიან დარაჯები. შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით. II კორპუსში(ქ. ახალციხე) ყველა სართულზე წარმოდგენილია 5 ერთეული ვიდეო - სათვალთვალო კამერა, ხოლო IV კორპუსში(ქ. ახალქალაქი) ყველა სართულზე დამონტაჟებულია 14 ერთეული ვიდეო-სათვალთვალო კამერა. იმ სივრცეში, სადაც წარმოებს ვიდეოთვალთვალი, განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნები აღნიშნულის თაობაზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- ვიზუალური დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**5.2 საინფორმაციო რესურსები**

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობისათვის საჭირო თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების წარმართვისათვის შესაბამისი ტექნიკური რესურსებითა და პროგრამული უზრუნველყოფით.

კერძოდ, ახალციხისა და ახალქალაქის სასწავლო კორპუსებში განთავსებულია **412 კომპიუტერული მოწყობილობა**, მათ შორის:

- **327 დესკტოპ კომპიუტერი**,
- **85 ლეპტოპი**,
- **75 პრინტერი**,
- **56 ტელევიზორი/პროექტორი**,
- **61 პლანშეტი**,
- **5 სერვერი** სტუდენტთა სარგებლობისათვის.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია **228 კომპიუტერი** და **61 პლანშეტი**, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალისათვის — **99 კომპიუტერი** და **45 ნოუთბუქი**.

უნივერსიტეტში შექმნილია **ერთიანი საუნივერსიტეტო ინფორმაციული სივრცე (ინტრანეტი)**, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ელექტრონულ სერვისს და ფარავს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და სასწავლო კორპუსს — ახალციხეში (რუსთაველის ქ. №122) და ახალქალაქში (დავით აღმაშენებლის ქ. №119).

არსებული კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციული, ასევე საგანმანათლებლო პროცესების შეუფერხებელ ფუნქციონირებას. პროგრამული უზრუნველყოფა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკასა და სტუდენტთა საერთო რაოდენობას.

უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს როგორც საგანმანათლებლო, ასევე ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებაში.

- **ინტერნეტ მომსახურებას** უზრუნველყოფს **სს „სილქნეტი“**,
- **ვებ-ჰოსტინგისა** და **დომენური სახელის რეგისტრაციის მომსახურებას — შპს „პროსერვისი“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ[illegible]
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში ხელმისაწვდომია როგორც **კაბელიანი**, ასევე **უკაბელო ინტერნეტ ქსელი**, რაც დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.**

დაწესებულებაში დამტკიცებულია ,, ინფორმაციული ტექნოლოგიის მართვის პოლიტიკა და პროცედურები“. აღნიშნული მეთოდოლოგია მოიცავს: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინფორმაციული ტექნოლოგიის მართვის პოლიტიკას, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურასა და განვითარების მექანიზმებს. საკაბელო ქსელით დაფარულია უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია. ყველა კომპიუტერი აღჭურვილია ქსელის ადმინისტრატორის მიერ რეკომენდირებული და დაყენებული ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფით. ანტივირუსული ბაზების განახლება ხორციელდება 2 თვეში ერთხელ. უსადენო ქსელის ყველა წერტილი დაცულია უსაფრთხოების შიფრით, რომლის განახლებაც ხდება ექვს თვეში ერთხელ. IT სპეციალისტის მიერ ხორციელდება კომპიუტერული ქსელის მონიტორინგი . რაც შეეხება მნიშვნელოვანი ინფორმაციას , ხდება მათი გარე მყარ დისკებზე რეზერვირება, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სრულ დაცულობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;**

დაწესებულებაში დამტკიცებულია ”სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“, რომელიც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან. წესის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების დაცვა. დაცვა. ხელშეკრულებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას დადგენილი წესის შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.**

დაწესებულება რეგულარულად აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას პროფესიული სტუდენტების გამოკითხვებისა და პერსონალისაგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს ინფრასტრუქტურისა და პროცესების გაუმჯობესების მიზნით. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გამართული გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ შიდა რეგულაციების შესაბამისად, უნივერსიტეტში პერიოდულად ხორციელდება IT სტრუქტურაში გამოყენებული ტექნიკური მოწყობილობების მუშაობის მონიტორინგი. საჭიროების შემთხვევაში ტარდება პროგრამული და ტექნიკური ოპტიმიზაციის სამუშაოები, რაც უზრუნველყოფს სისტემის გამართულ და უწყვეტ ფუნქციონირებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.**

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილია შესაბამისი კომპიუტერული რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფილია ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობით (უკაბელო ინტერნეტი) **თავისუფალი წვდომის რეჟიმში**.

უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს კვლევებს როგორც პროფესიულ სტუდენტებთან, ისე პერსონალთან, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის შესახებ. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

დაწესებულება სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას, ფეისბუქ გვერდის დახურულ ჯგუფებს. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ახორციელებს ელექტრონული ფოსტის მისამართების გახსნის მომსახურეობას. შეხვედრებისთვის გამოიყენება როგორც Google Meets, ასევე Microsoft Teams, Zoom პლატფორმები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ...

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინფორმაციული ტექნოლოგიის მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
- მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- სტუდენტებთან/მასწავლებელთან/ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №48 დადგენილებით დამტკიცებულია **„საქმისწარმოების წესი“**, რომელიც განსაზღვრავს დოკუმენტბრუნვის პროცესს, დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების სტანდარტებს, მათი აღრიცხვისა და შესრულების კონტროლის წესებს.

დოკუმენტის მიზანია დოკუმენტბრუნვის ხარისხის ამაღლება, თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით აღრიცხვისა და კონტროლის მეთოდების სრულყოფა, აგრეთვე უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტურობის ზრდა.

„საქმისწარმოების წესში“ განსაზღვრულია:

- დოკუმენტაციის დამუშავებისა და სამსახურეობრივი დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების წესი;
- შიდა დოკუმენტაციის სისტემაში აღრიცხვის წესი;
- გასული კორესპონდენციის აღრიცხვის წესი;
- შემოსული კორესპონდენციის შესრულების კონტროლის წესი;
- ცნობის გაცემის წესი;
- საქმეთა ნომენკლატურის შედგენისა და საქმეების ფორმირების წესი;
- საარქივო საქმისწარმოების პროცედურები.

უნივერსიტეტში დანერგილია **საქმისწარმოების ერთიანი ელექტრონული სისტემა „Eflow“**, რომელშიც აღირიცხება ყველა ოფიციალური დოკუმენტი და საქმე. საქმეთა ნომენკლატურაში შეტანილია დაწესებულებაში შექმნილი საქმეების სრული ჩამონათვალი.

დაწესებულებას ჰყავს **საქმისმწარმოებელი**, რომელიც უზრუნველყოფს ბრძანებების, ხელშეკრულებების, ცნობებისა და განცხადებების რეგისტრაციას შესაბამის ჟურნალებში. აღრიცხვის ჟურნალები დანომრილია და დამოწმებულია უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, ბეჭედდასმულია და აკინძული.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისათვის.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში 2018 წლის 8 ივნისიდან საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონულად, **„Eflow“** სისტემის გამოყენებით. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს დოკუმენტაციის ეფექტურ აღრიცხვას, გადაცემასა და კონტროლს. ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი და პედაგოგი ჩართულია სისტემაში და ყოველდღიურად იყენებს მას ოფიციალური კომუნიკაციისა და დოკუმენტაციის მართვისთვის. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დაწესებულების „Eflow“ სისტემაში მუშაობის სპეციფიკა, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ დოკუმენტბრუნვის პროცესები ორგანიზებულად და გამართულად მიმდინარეობს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;**

დაწესებულებაში ჰყავს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ახორციელებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირებას და უზრუნველყოფს როგორც პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემების, ისე უნივერსიტეტის საქმიანობისათვის აუცილებელი ინფორმაციის სრულყოფილად ასახვას აღნიშნულ სისტემაში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შერჩევითი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაცია სრულად შეესაბამება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის სრულყოფილი და სანდო მონაცემების შეტანას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

ექსპერტთა შემოწმების შედეგად დადგენილია, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს „საქმისწარმოების წესით“ განსაზღვრული შემოსული დოკუმენტების მიღების, შესრულების და გაცემის ვადები, რომელთა კონტროლიც განახორციელებს საქმისმწარმოებელი. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) ინფორმაციის ასახვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე დადასტურდა, რომ დაწესებულება დროულად უზრუნველყოფს ანგარიშების, უკუკავშირის და საგანმანათლებლო საქმიანობაზე საჭირო ინფორმაციის მიწოდებას კონტროლის განმახორციელებელი შესაბამისი უწყებებისთვის და მათთან თანამშრომლობს ეფექტურად.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- ელექტრონულ სიტემის (eFlow) შემოწმების შედეგები;
- საქმისმწარმოებელთან გასაუბრების შედეგები:
- რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგები;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები და შემოწმების შედეგები;
- გასაუბრება პროფესიულ სტუდენტებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**5.2.3** პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი (www.sjuni.edu.ge) და სოციალური ქსელის ოფიციალური გვერდი წარმოადგენს უნივერსიტეტის საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმებს, რომელთა საშუალებითაც უზრუნველყოფილია საზოგადოების დროული ინფორმირება და კომუნიკაცია ადმინისტრაციასთან. დაწესებულების ვებგვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ფიზიკური მისამართი. ორივე პლატფორმა უზრუნველყოფს წერილობითი კომუნიკაციის შესაძლებლობას უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია დაწესებულების **მისიის, ხედვისა და ღირებულებების** შესახებ. ასევე ხელმისაწვდომია **სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები**, მათი **შესრულების ანგარიშები**, **კატალოგი**, **მარეგულირებელი დოკუმენტები**, რომლებიც სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ასევე **ელექტრონული კატალოგი**. გარდა ამისა, ვებგვერდზე წარმოდგენილია ინფორმაცია **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების**, ასევე **უნივერსიტეტის სტრუქტურის, დამფუძნებლებისა და ისტორიის** შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიმდინარე ეტაპზე არ ახორციელებს პროფესიული განათლების პროგრამებს ინგლისურ ენაზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ინფორმაცია წარმოდგენილია როგორც სახელმწიფო (ქართული), ისე ინგლისურ ენებზე, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო კომუნიკაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უცხოენოვანი დაინტერესებული პირებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 4 ნოემბრის №10 დადგენილებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის ვებგვერდისა და სოციალური მედიის არხების საინფორმაციო უზრუნველყოფის ძირითად პრინციპებს. აღნიშნული წესის თანახმად, უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სოციალური მედიის ოფიციალურ არხებზე ინფორმაციის სისწორესა და დროულ განთავსებაზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.

დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო, ზუსტ და უტყუარ ინფორმაციის გავრცელებას. უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული მონაცემები სრულად ასახავს დაწესებულების აქტივობებს, მიღწევებსა და პარტნიორობას, რაც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტაციით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბა[illegible]
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მ[illegible] ... თ. ქვლივიძე ... ნ. მანჯგა

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული პროგრამების კატალოგი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კატალოგზე პასუხისმგებელ პირს, დაწესებულების მიზანს პროფესიული პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით, თითოეულ პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, დასაქმების შესაძლებლობებსა და მისაღწევი სწავლის შედეგებს.

აღნიშნული კატალოგი არ შეიცავს ინფორმაციას პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ, ასევე არ არის ასახული საგანმანათლებლო აქტივობები.

**განმავითარებელი რეკომენდაცია:**
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების ერთგვარ „სავიზიტო ბარათს“, შესაბამისად, რეკომენდებულია მისი შინაარსობრივი გაღრმავება — დამატებით უნდა აისახოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და თანამშრომლობის აქტივობები, პარტნიორი ორგანიზაციები და განხორციელებული ინიციატივები, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებული პირებისათვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის ყოველწლიურ განახლებას, რის დადასტურებადაც უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია 2025 წლის განახლებული კატალოგი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში აქტიურად იყენებს სხვადასხვა არხებით მიღებულ უკუკავშირს თავისი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. უკუკავშირის მისაღებად უნივერსიტეტის ვებგვერდზე მოქმედებს შესაბამისი ფუნქცია, რომელიც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირებს — სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, პარტნიორ ორგანიზაციებსა და საზოგადოებას — გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეთავაზებები.

დაწესებულება რეგულარულად აანალიზებს მიღებულ უკუკავშირს და ამ მონაცემების საფუძველზე ახორციელებს შესაბამის ცვლილებებსა და გაუმჯობესებებს სწავლებისა და მართვის პროცესებში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი ;
- ვებ-გვერდსა და სოც. ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაციის, სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**5.3 ფინანსური რესურსები**

**5.3.1** დაწესებულება ფინანსურად მდგრადია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს წლიური საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრულ პრიორიტეტებს, ისე მიმდინარე საოპერაციო ხარჯებსა და მოსალოდნელი მოგების ნაწილს. ფინანსური მენეჯერი აქტიურად არის ჩართული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ფორმირების პროცესში, რაც უზრუნველყოფს ბიუჯეტის შედგენას რეალური ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული გასაუბრებებისა და ფინანსური ანგარიშგებების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულება სათანადოდ არის უზრუნველყოფილი ფინანსური რესურსებით, რაც იძლევა სტრატეგიული მიზნებისა და დაგეგმილი აქტივობების შესრულების რეალურ შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს მიერ 2013 წლის 11 დეკემბრის N88 დადგენილებით დამტკიცებული აქვს „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ბიუჯეტების შედგენის წესი“, რომელიც განსაზღვრავს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ბიუჯეტების ფორმირების პრინციპებს და არეგულირებს ბიუჯეტების პროექტის მომზადებას, განხილვას, შეთანხმებას, დამტკიცებას, შესრულებას, ანგარიშგებას და კონტროლს. უნივერსიტეტის ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების მიხედვით „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს

მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე", ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. შემოსავლების მოზიდვის მიზნით სხვადასხვა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებიდან მიღებული შემოსავლები და ასევე სხვადასხვა პროექტებიდან მოზიდული თანხები. ბიუჯეტის დამტკიცებას ახდენს უნივერსიტეტის რექტორი, რომელშიც გაწერილია დაწესებულების, როგორც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, ისე მიმდინარე, საოპერაციო ხარჯები, უზრუნველყოფილი სათანადო ფინანსური რესურსით. პროგრამული დაფინასების ფარგლებში ხორციელდება ყველა აუცილებელი საოპერაციო ხარჯი (საოფისე, კომუნალური, საკომუნიკაციო, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ტექნიკის გადამუხტვა, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების, სამედიცინო სახარჯი მასალების და მედიკამენტების და სხვა) ამასთანავე, დაწესებულებას გააჩნია ფინანსური რესურსი იმისათვის, რომ უზრუნველყოს სხვა არაპროგნოზირებადი და აუცილებელი ხარჯის გაწევა. უნივერსიტეტი წლის ბოლოს ფაქტობრივ ბიუჯეტს ადარებს საპროგნოზო ბიუჯეტს, ითვალისწინებს საოპერაციო წლის განმავლობაში სხვადასხვა არაპროგნოზირებად გარემოებებს და მომავალი წლის ბიუჯეტს ხდის უფრო რეალისტურს. უნივერსიტეტი აწარმოებს დაფინანსების დინამიკას ბოლო რამდენიმე წლისათვის, რაც საშუალებას აძლევს მიიღოს სწორი ფინანსური გადაწყვეტილებები. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინება ხდება მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.**

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას და ყოველწლიურად ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებასა და ბალანსს. აღნიშნული დოკუმენტები წარედგინება განსაზღვრულ ვადებში ზემდგომ ორგანოს — საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის. გარდა ამისა, უნივერსიტეტი სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უგზავნის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშს მათი მოთხოვნილი ფორმისა და სტანდარტების შესაბამისად. დაწესებულების ყველა ფინანსური ოპერაცია სრულად ასახულია საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის პორტალზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დაწესებულება ფინანსური შეფასებების საფუძველზე უზრუნველყოფს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრასა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას. ამ პროცესში დაწესებულება ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო საჯარო სექტორის საბუღალტრო სტანდარტებს (IPSAS), აგრეთვე საფინანსო საქმიანობის სფეროში მოქმედ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებსა და არსებულ პრაქტიკას. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია დამტკიცებული ერთიანი ბიუჯეტის შესრულებაზე, ხოლო ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების დეკანატები — ფაკულტეტების საკუთარი ბიუჯეტების შესრულებაზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი წარადგენს გასული წლის ერთიანი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს წარმომადგენლობით საბჭოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 აპრილისა, ხოლო ფაკულტეტების დეკანები — შესაბამის ფაკულტეტთა ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებს იგივე ვადებში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დაფინანსების დინამიკა;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიშები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ...
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ**

**I. ზოგადი ინფორმაცია**

*ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)*

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ფარმაცია (საფთიაქო) |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0916 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს<br>დადგენილებაN 732021 23/06/2025 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | იურიდიული მისამართი: ქ. ახალციხე. რუსთაველის ქ. 113. |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 15 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 123 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 153 |

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**
*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება | ☐ შესაბამება<br>■ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა გაწერილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 04 ნოემბერის დადგენილებით N43 სსიპ ახალციხის უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით. პროგრამის შემუშავების თაობაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება შეუძლია როგორც დაინტერესებულ პირს, ისე პირთა ჯგუფს, რომელიც ინიცირების შესახებ განცხადებით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საწყის ეტაპზე იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებლები, დამსაქმებლები. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში უნდა იყოს პირი, რომელიც შემდეგში განიხილება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად. სამუშაო ჯგუფი ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამას, შესაბამის მოდულებსა და პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მოსაპოვებლად საჭირო ყველა მასალას (მასალები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: დასაქმების ბაზრის კვლევას, მონაცემებს მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და ადამიანური რესურსების შესახებ, ასევე თვითშეფასების დოკუმენტაციის მომზადება). სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პროგრამა პირველადი შეფასებისათვის გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი უფლებამოსილია განიხილოს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მასალები და მიიღოს გადაწყვეტილება თითოეულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, განმახორციელებელი მოისმინოს ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის სავარაუდო პერსონალისაგან, მოითხოვოს საცდელი ლექციის/პრაქტიკული სამუშაოს ან სხვა აქტივობის ჩატარება, შეამოწმოს სასწავლო მასალები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვ.), ასევე სამუშაო ჯგუფს მისცეს რეკომენდაციები პროგრამის სრულყოფისათვის და კანონმდებლობასთან შესაბამისობის მოყვანისათვის. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ პროგრამა წარედგინება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

დაწესებულებამ შრომის ბაზრის მიმოხილვითი ანალიზის დროს იხელმძღვანელა შრომის ბაზარზე არსებული ზოგადი მოთხოვნის კომპონენტებითა და მოსალოდნელი ტენდენციებით. რეგიონში აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს მხოლოდ ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება რეგიონში ახალციხე-ში ახალქალაქში არის: 7 აფთიაქი -ავერსი; 2 აფთიაქი-ჯიპისი GPS; 5 აფთიაქი- PSP; 4 აფთიაქი-ფარმადეპო (FARMADEPO); 2 აფთიაქი- იმპექსი(IMPEX); არაბრენდული აფთიაქები. შესაბამისად შეგვიძლია დანამდვილებით ითქვას, რომ სამცხე-ჯავახეთში პროფესიული განათლების მქონე სპეციალისტების ნაკლებობაა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)" შემუშავებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის დაცვით, რასაც მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების დოკუმენტაცია. საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. საქართველოში ჯანდაცვის მიმართულება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრიორიტეტულია, რაც პროფესიას ხდის შრომის ბაზარზე ერთ-ერთ მოთხოვნად და დასაქმებად მიმართულებად. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნულ ბაზარზე, არსებული ფარმაცევტული კომპანიების „შპს „ავერსი ფარმას“, “ჯი პი სის“, „ფარმადეპოს“, „პსპ-ს“ და „იმპექსის““-ის ინიციატივები პროფესიული კადრის მიწოდება/დასაქმების შესახებ. კურსდამთავრებულთა უმეტესობა დასაქმდება შპს „პსპ აფთიაქი“-ს, შპს „ავერსი ფარმას“, შპს „გეფასა“ და შპს „ჯი პი სი“-ს სააფთიაქო ქსელებში.

უნივერსიტეტის მისიაა იყოს მრავალპროფილური და ორიენტირებული თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი დაწესებულება, რომელიც შეძლებს მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები. დაწესებულება მზადაა იზრუნოს მათი პიროვნულ და პროფესიულ განვითარებასა და დასაქმების ხელშეწყობაზე, ასევე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის ხელშეწყობაზე, რასაც გეგმავს დაწესებულებასა და რეალურ ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების განვითარების გზით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს პროფესიული განათლების კანონმდებლობითა და ჩარჩო დოკუმენტით „ფარმაცია (სააფთიაქო)“განსაზღვრულ მოთხოვნებთან. პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის (09110-პ) მოთხოვნასთან. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები შეძლებენ პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას განსაზღვრულ ვადებში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებას დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე“ აპლიკანტთა შერჩევის წესს, რომელშიც გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურები. შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N33 დადგენილებით. „08—05—“2018 წ. ოქმი N 8. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებისას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების მიდგომებს, მის სპეციფიკას, ადამიანურ რესურსებს, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დამატებით ფაქტორებს, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას და სხვა. მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა დოკუმენტი - პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით. ასევე, სტუდენტების კონტიგენტის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.დაწესებულების მიერ ,პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ასევე, საგანმანათლებლო რესურსების ანალიზით და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მოიცავს არჩევით მოდულს „მზა სამკურნალწამლო ფორმები“ 0911028“ (მოცულობა 3 კრედიტი), რომელიც თეორიულია და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სსიპ სამცხე -ჯავახეთის უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით და დამტკიცებულია 2025 წლის 23 ივნისის აკადემიური საბჭოს დადგენილებით, ოქმი N6-ის შესაბამისად. დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის -„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ 3.1 მუხლის თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს და ამტკიცებს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, დგინდება, რომ პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7.საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ანალოგიურია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების, აქედან გამომდინარე, შესაბამისია პროგრამის შინაარსის და არ არის შეცდომაში შემყვანი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შემუშავების პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს: პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს, სასწავლო გეგმას, ინფორმაციას პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული - „ქართული ენა A2“ და აღნიშნული მოდულის განხორციელების სასწავლო გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია
- •სტრატეგიული გეგმა; •
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (პაკეტი).

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. „ფარმაციის (სააფთიაქო)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ უზრუნველყოფილი მატერიალური რესურსებით.

სსიპ ახალციხის უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)" თეორიულ კომპონენტს ახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ.ახალციხე. რუსთაველის ქ.122 მეორე კორპუსში , სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები:

ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის დაწესებულების ბაზაზე გათვალისწინებულია :

1.B გარემო N 305 /კომპიუტერული კლასი - განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები- 15 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტებისთვის და 1 პროფესიული მასწავლებლისთვის; 1 დაფა, 1კომბაინი (პრინტერი, ასლგადამღები, სკანერის ფუნქციით) და 1მონიტორი პრეზენტაციებისთვის;

2.ერთი A/ C სასწავლო გარემო: A/ C 303 აფთიაქის მოდელით 15 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისათვის, 1 ინდივიდუალური სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის ქიმიურ-სააფთიაქო- ბიოლოგიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია, 15 სამუშაო ადგილი - პროფესიული სტუდენტებისთვის. 1 ინდივიდუალური სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად უნივერსიტეტს" გაფორმებული აქვს პარტნიორ ორგანიზაციებთან: სს „გეფა" და ინდმეწარმე „ლია გორელაშვილთან" 15 პროფესიული სტუდენტის მომსახურებაზე.საგანმანათლებლო პროგრამის 26 მოდულიდან, სასწავლო გეგმით 8 მოდული ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებში.

1. "სანიტარიულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში";
2. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება";
3. „პროდუქციის მიღება განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება";
4. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში";
5. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა";
6. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა";
7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის/საშუალებების შერჩევა";
8. „მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა"

პარტნიორი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ყოველწლიურად 15 სტუდენტის მიღებას და პრაქტიკული კომპონენტის გატარებას არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით. თვითშეფასების დანართად წარმოდგენილია შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ამ შესაბამისობის დადგენისთვის ასევე კოლეჯის მხრიდან წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი, კითხვარი და დადგენილების მოთხოვნის მიხედვით შემუშავებული წესი. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტი თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)" განხორციელების მიზნით, თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი პირი, სასწავლო გეგმის და გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. დაწესებულებას ჰყავს პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 19 პირი, მათ შორის 6 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 5. (დანართი 1. ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელთა შესახებ; დანართი 1). ექსპერტთა ვიზიტის დროს, მიმდინარეობდა დამატებით ორი განმახორციელებელი პირის დაკონტრაქტება.

შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3.ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლითა და გასაუბრებით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, სასწავლო რესურსების განახლებაში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. ფლობენ ცოდნას ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ფარმაცია (სააფთიაქო)" -ს ყავს გამოცდილი და დარგობრივ კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია სწავლის სფეროში მუშაობის შესაბამისი გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურ და ეფექტურ განხორციელებას. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში შერჩევითად გადამოწმდა პროგრამის მოდულებისთვის რეკომენდირებული ლიტერატურა, რომელიც უკლებლივ ადგილზეა ელექტრონული და ზოგი მატერიალური სახით. ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ დაწესებულების სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში, სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. ეს რესურსები განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში და ვებ-გვერდზე, სადაც ისინი ხელმისაწვდომია ავტორიზებულ მომხმარებლებისთვის. საკანონმდებლო აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში (www.matsne.gov.ge), სადაც პროგრამის ხელმძღვანელი და სხვა განმახორციელებლები საჭიროების შემთხვევაში ადევნებენ თვალყურს ცვლილებებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6 დაწესებულების მიერ შემუშავებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად, განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები, როგორც სსსმ ან/და შშმ პირებისთვის, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე სხვა პროფესიული სტუდენტებისთვის. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და განხორციელდება მის მოდიფიკაცია (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) და/ან აკომოდაცია

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7.საგანმანთლებლო პროგრამა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში, სადაც გათვალისწინებულია როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლების, ისე ადმინისტრაციის მომსახურების ანაზღაურება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ბიუჯეტში რეალისტურადაა გაწერილი შემოსავლისა და ხარჯების სახეები. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 6 პროფესიული სტუდენტი. პროგრამისა და პსდ-ს ბიუჯეტის ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესი;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი „პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია.
- სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- პერსონალის პირადი საქმე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროგრამის ,,ფარმაცია (საფთიაქო)“ ბიუჯეტი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მუხლი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის /უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შეფასების მექანიზმებს, რომლისთვისაც მასში გაწერილია პროცედურები, რომელიც უნდა განახორციელოს დაწესებულებამ, რომ უპასუხოს მისი ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს. შესაბამისად დაწესებულების მიერ დაგეგმილია აქტივობები, რომლის საფუძველზეც დადგენილი აქვთ უნივერსიტეტის შიდა გამოწვევები და ასევე გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებები. ასევე პროგრამის შეფასებისა და განვითარებისთვის ამავე მექანიზმის დაცვით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება გეგმავს გამოავლინოს პროგრამების განხორციელებაში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. დაწესებულების შიდა კვლევების სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები/პროგრამის განმახორციელებელი პირები და ადმინისტრაციული პერსონალი. გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დადგენისთვის კვლევების სამიზნე აუდიტორია კი - კურსდამთავრებულები, პრაქტიკის განმახორციელებელი ბაზები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვ. კვლევების შედეგების და შეფასების გაანალიზება დაეხმარება დაწესებულებას განახორციელოს მისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. რეგულარული კვლევების განხორციელება არის სასწავლო პროცესებზე დაკვირვების, მონიტორინგის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის ადმინისტრაცია გეგმავს პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ადმინისტრაციის სრულ ჩართულობას; დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევის მეთოდოლოგია. ისინი მათგან მიღებულ უკუკავშირს, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებსა და შემოსულ წინადადებებს გაითვალისწინებენ პროგრამების განხორციელების შეფასებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

2. დაწესებულებაში მოქმედი შიდა ნორმატიული აქტების: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად რისთვისაც მათ მიერ წარმოდგენილი იქნა ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა, დოკუმენტაციები რაც ასახავდა მათივე რეგულაციების შესაბამისად განხორციელებულ ხარისხის უზრუნველყოფისთვის ჩატარებული სამუშაოების შედეგებს: კვლევების შეფასებებს, ანალიზსა და შემუშავებულ რეკომენდაციებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია, დამტკიცებული ახალციხის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები,
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამების შეფასების დოკუმენტაცია :
- დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მტკიცებულებები;
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**
**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო გეგმა შედგენილია თანმიმდევრულად. დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა (2 კვირა). პროფესიულ სტუდენტებთან და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის მიხედვით.
სასწავლო განრიგის შედგენა ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება ადგილზე და ელექტრონულად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

2.დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს. პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერვიუებზე დადგინდა, რომ განმახორციელებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარები. პროგრამას აქვს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის, სასწავლო პროცესში აქტიურად იქნება გამოიყენებული, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

**4.**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას, დაწესებულება ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაც გამოიხატება მოქნილ სწავლების მეთოდებში, ინდივიდუალურ მხარდაჭერაში და პრაქტიკულ და ინკლუზიურ მიდგომაში. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, როგორც შშმ და სსსმ სტატუსის მქონე პირებთან მიმართებაში ასევე, იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სჭირდებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება (მობილობით გადმოსული, სტატუსშეჩერებული და სხვა).

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -,, ფარმაცია (სააფთიაქო)“ განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას პროგრამის სასწავლო პრაქტიკის კომპონენტში პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს პარტნიორ ორგანიზაციებთან: შპს „გეფასთან“ (ხელშეკრულება 1 N ქ.თბილისი 18 ივნისი 2025წ.) და ხელშეკრულება შპს „ინდმეწარმე ლია გორელაშვილთან“' ( ხელშეკრულება N7N 14 მაისი 2025 წ.)15 პროფესიული სტუდენტის მომსახურებაზე. ხელშეკრულების თანახმად პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს მომსახურება გაუწიოს უნივერსიტეტის 15 პროფესიულ სტუდენტს, ორი ცვლის გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს. პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლები ადასტურებენ დაწესებულებასთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას, ასაბუთებენ ამ თანამშრომლობის მნიშვნელობას და მზად არიან უზრუნველყონ კურსდამთავრებულთა დასაქმება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.დაწესებულებაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობა უზრუნველყოფილია უსაფრთხოდ მუშაობის ინსტრუქტაჟით (დანართი 8) და უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია გამწოვი კარადა, გამოკრულია ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესები, ( ლაბორატორიის გამოყენების წესი) არის ყუთები მყარი ნივთიერებებისათვის და მინის ქილები სითხოვანი ნარჩენებისთვის . ასევე ერთჯერადი ხელთათმანები, ნიღბები, სათვალეები, ხალათები და სხვა თავდაცვის საშუალებები. აქვეა ახლად დატენილი ცეცხლმაქრები. ასევე გამოკრულია ქიმიური ნარჩენების უტილიზაციის წესი (ხელშეკრულება N 139. „საყოფაცხოვრებო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნარჩენების გატანის მომსახურების გადახდაზე“ 03.06.2018წელი. გაფორმებული ქ. ახალციხის მერიასთან.).პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება პარტნიორ დაწესებულებებში არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიკური უსაფრთოხების პირობების შექმნას/დაცვას, თუმცა პრაქტიკის ობიექტზე ეს პირობები დაცულია და სტუდენტებს პირველივე პრაქტიკულ მეცადინეობაზე ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- საგანმანთლებლო პროგრამა ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ).
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში ( „ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავება“ );
- ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან;
- შპს „გეფასთან“ (ხელშეკრულება 1 Nქ. თბილისი 18 ივნისი 2025წ.)
- ხელშეკრულება შპს „ინდმეწარმე ლია გორელაშვილთან“' ( ხელშეკრულება N7N 14 მაისი 2025 წ.)
- (ხელშეკრულება N 139. „საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურების გადახდაზე“ 03.06.2018წელი. გაფორმებული ქ.ახალციხის მერიასთან.)
- ქიმიური ნარჩენების უტილიზაციის წესი
- სასწავლო ცხრილები;
- ქიმიურ ლაბორატორიის გამოყენების წესი
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვები;
- ვიზუალური დათვალიერება.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ...
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწესებულების აკადემიური საბჭოს 18.05.2020 წლის N 9 დადგენილებით (ბოლო ცვლილება აკადემიური საბჭოს 2025 წლის 23 ივნისის დადგენილება N732008 ) დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“. რომლის თანახმად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა ეფუძნება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. რეგულაცია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შეფასებისას ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებას, როგორებიცაა: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. სწავლის შედეგების შეფასების წესი ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს: შესაფასებელი სწავლის შედეგების იდენტიფიცირება; სწავლის შედეგებისათვის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა; შეფასების ინსტრუმენტის შექმნა; შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება; შეფასების განხორციელება; შეფასების შედეგების გაფორმება და მტკიცებულებათა შენახვა. **ზემოაღნიშნული წესის მე-10 მუხლში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცედურა სადაც აღნიშნულია, რომ ზოგადი მოდულების, ასევე პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივ ვალიდაციასა და ინსტრუმენტების მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებთან ფორმალურ შესაბამისობას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამისი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტების ჩართულობით (ე.წ/ ვალიდაციის ჯგუფი). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ერთი პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც ხელშეკრულებით განსაზღვრული აქვს 6 დარგობრივი და ერთი ზოგადი მოდულის განხორციელება. შესაბამისად ბუნდოვანია ვინ შეაფასებს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შედგენილ შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას მოდულით დადგენილ მოთხოვნებთან (ვალიდაცია). მეთოდოლოგიის შესაბამისად ვალიდაციის პროცედურა არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**
**ამავე მუხლში აღნიშნულია, რომ შინაარსობრივი მიმართულებით შეფასების ინსტრუმენტების განხილვისას, ვალიდაციის ჯგუფი ხელმძღვანელობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, მოდულით და შეფასების ინსტრუმენტის კონტექსტში ადგენს:**
**ა) შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას შეფასების მიმართულებასთან;**
**ბ) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობას ანუ ინსტრუმენტის რელევანტურობას იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რომელიც ფასდება. ასევე იმას, რომ შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გ) შეფასების სისტემის სამართლიანობას, ანუ ინსტრუმენტით გათვალისწინებული პროცესი მისცემს თუ არა საშუალებას პროფესიულ სტუდენტს, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვაპირობები);
დ) შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას, ანუ რამდენაც ცალსახად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია.
აღსანიშნავია რომ შეფასების სისტემის სამართლიანობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა არ მიემართება შეფასების ინსტრუმენტს, არამედ შეფასების პროცესს. შესაბამისად ზეამოღნიშნული შეფასების სისტების პრინციპები განმარტებულია არასწორად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც „ მეტწილად შესაბამისი“ სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისიწინებულია შემდეგი აქტივობები : - 1. წესში ცვლილება ვალიდაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად ; 2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი. აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2.დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია (1. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 ივნისის დადგენილება N22) „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესი“ სადაც გაწერილია როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით. ვერიფიკაციის მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განისაზღვრება ვერიფიკაციის განხორციელების განრიგი და ვერიფიკატორი (ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც უნდა შედიოდეს: პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის ხელმძღვანელი, ვერიფიკატორი (განათლება), ვერიფიკატორი (დარგი) (იმ დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება). ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში აგრეთვე შეიძლება შედიოდნენ მემორანდუმით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი, პროფესიული სტუდენტი, პირი სამინისტროს მიერ შექმნილი გუნდიდან ან სხვა პირი. წესი განსაზღვრავს ვერიფიკაციის დაგეგმვას,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებას  და ანგარიშის მომზადების პროცედურას. ვერიფიკაციის დასკვნა მზადდება შესაბამისი ფორმის მიხედვით, რომელიც დანართის სახით ახლავს მექანიზმებს.
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესში გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურა როგორც საკვალიფიკაციო, ასევე მოკლევადიანი პროგრამებისთვის. „რეკომენდებულია შეიცვალოს აღნიშნული მექანიზმის სახელწოდება, ვინაიდან არსებული ფორმულირება — „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესი" — არ ასახავს დოკუმენტის შინაარსს სრულყოფილად..

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმავითარებელი შეფასებაც, .განმავითარებელი შეფასება როგორც ცოდნის, ისე სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.
აღნიშნული შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეამოწმოს სტუდენტის გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.
სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სტუდენტთა ინფორმირებულობა შეფასების შედეგების შესახებ ხდება განზოგადოებულად. კონკრეტული სტუდენტის შეფასების შედეგები განიხილება მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი";



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესი“;
- გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საექთნო განათლება |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0913 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 18 მაისის №8 დადგენილება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | რუსთაველის ქ. №122ა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 28 კოოპერაციული |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 180 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 210 |

**III.ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიული სტუდენტთა შეფასება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |

**IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**
*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #10, 18.05.2020, ბოლო ცვლილება შეტანილია 2025 წლის 11 მარტს), რომლის თანახმად პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრების ორგანიზებას პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, დაწესებულების რესურსების ანალიზს, კონსულტაციებს ადმინისტრაციასთან. პროგრამის შემუშავებისა და არგუმენტირების/კვლევების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი ხარისხის უზრუნველყოფის მენჯერს წარუდგენს შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შემუშავებულ პროგრამას წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, ფაკულტეტის საბჭო განიხილავს წარმოდგენილ პროექტს და დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შემუშავებულ და განხილულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. შემუშავებულ და განხილულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს აკადემიური საბჭო. უნივერსიტეტის მისიაში ნათლად არის გაცხადებული პროფესიული განათლებისადმი დამოკიდებულება. მისიის განაცხადის თითოეული პუნქტი გულისხმობს პროფესიული განათლების განვითარებას და მოიცავს ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული მიზნებს. ერთ-ერთი მიზანია „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადება, დაეყრდნოს სამცხე-ჯავახეთის განვითარების პრიორიტეტებს, ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში.

სტრატეგიული განვითარების მთავარი მიმართულებაა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა სამცხე-ჯავახეთში, მრავალეროვანი მოსახლეობის ინტეგრაციის ხელშეწყობა პროფესიული განათლების კუთხით, რეგიონისთვის საჭირო კადრის მომზადება. პროგრამაზე სწავლას შეძლებენ როგორც ქართველი, ისე სომეხი ახალგაზრდები, სწავლების ენა ქართულია, შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში სომეხ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, დაეუფლონ სახელმწიფო ენას სახელმწიფო დაფინანსებით შემდეგ კი სწავლა გააგრძელოს პროფესიულ პროგრამაზე.

ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, არსებობს მოთხოვნა იმ უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

კერძოდ, საქართველოს შრომის ბაზრის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ ახალგაზრდებში მაღალი უმუშევრობის დონე რჩება. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზს თუ გადავხედავთ მაღალია მოთხოვნა: ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტებზე. მოთხოვნა მთლიანობაში გამოირჩევა მრავალფეროვნებით, რაც მოიცავს ვაკანსიებს: მედიცინის საერთო პროფილის პრაქტიკოსებზე (35%), სპეციალისტ ექთნებზე (21%), სპეციალისტ მეანებზე (12%), მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსებზე (10%),

ამ მხრივ, არც სამცხე-ჯავახეთი წარმოადგენს გამონაკლისს და გამომდინარე აქედან, რეგიონის სამედიცინო დაწესებულებები განიცდიან ექთნების მწვავე დეფიციტს. საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს არა მარტო სხვადასხვა პროფილის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამედიცინო დაწესებულებებში, ასევე შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას, მაგ. განათლების სფეროში. პროფესიის მოთხოვნადობაზე მეტყველებს ასევე მისი დაუფლების მსურველთა მაღალი კონკურსი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობების და სტატუსის მოპოვება რეგულირდება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #11, 18.05.2020, ბოლო ცვლილება შეტანილია 2025 წლის 23 ივნისს). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საექთნო განათლება დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნასთან. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები" 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებას და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, რომელშიც გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურები. შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #33, 08.05.2018), რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის განხორციელების მიდგომებს, მის სპეციფიკას, ადამიანურ რესურსებს, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დამატებით ფაქტორებს, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას, პარტნიორი საწარმოს რესურსს და სხვა. მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა დოკუმენტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით. ასევე, სტუდენტების კონტიგენტის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულების მიერ პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ასევე, საგანმანათლებლო რესურსების ანალიზით და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6.საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება დამტკიცებულია დაწესებულების აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 18 მაისის №8 დადგენილებით. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება საექთნო განათლება ანალოგიურია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების, აქედან გამომდინარე, შესაბამისია პროგრამის შინაარსის და არ არის შეცდომაში შემყვანი.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემუშავების საფუძველია საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტი (09109-პ). დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები (შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის მიღება და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება), პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. დაწესებულების მიერ, წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ (90 კრედიტი), ასევე კლინიკური (90 კრედიტი) სწავლების კომპონენტსაც. პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 180 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 31,25 სასწავლო თვე, 125 სასწავლო კვირა), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 210 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 36,75 სასწავლო თვე, 147 სასწავლო კვირა).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები, გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #10, 18.05.2020),
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #11, 18.05.2020);
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #33 08.05.2018),
- 6. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტთან;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება, სასწავლო გეგმა - პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მოდულები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თამ[illegible]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბა[illegible] [illegible] [illegible] თ. ქვეღაძე [illegible] ნ. მანჯავ[illegible]

### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო განათლება თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს ახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №122 ა. დაწესებულება გეგმავს, მიიღოს 28 პროფესიული სტუდენტი პროგრამის ფარგლებში.

თეორიული კომპონენტის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები:

A/C გარემო - აუდიტორია განკუთვნილია 20  პროფესიული სტუდენტისთვის. აუდიტორია აღჭურვილია ფუნქციური საწოლით, პროგრამის მატერიალური რესურსით გათვალისწინებული მანეკენებით, თემატური პლაკატებით, ნიმუშებით და სხვა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარით. სიმულაციური გარემოში ასევე ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო)  მოდული  პირველადი გადაუდებელი  დახმარება. სასწავლო ცხრილების, მოდულების საკონტაქტო საათების ანალიზით სიმულაციური გარემო გამტარუნარიანია ორივე პროგრამისთვის არსებული კვოტის ფარგლებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამი B გარემო/კომპიუტერული კლასი - პროფესიული სტუდენტისთვის 20 სამუშაო ადგილით. ყველა აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი).

საექთნო განათლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან: სს ,,ევექსის ჰოსპიტლები“ (11.06.2020); სამედიცინო ცენტრი ,,სიცოცხლის ხე“ (29.10.2021); აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი (29.10.2021) .

პარტნიორი დაწესებულებები ბაზარზე ცნობილი ოპერატორები არიან, აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადაც უკვე ხორციელდება უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო განათლების მესამე სასწავლო წლის პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტების სწავლება. აღნიშნულ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვება კლინიკა, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს იმ გაანგარიშებით, რომ 7 (შვიდ) პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ერთი პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ინსტრუქტორი კლინიკური სწავლებისათვის და გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალა. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება. პრაქტიკის განმახორციელებელ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს თან ახლავს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა, პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი, პრაქტიკის მოცულობის შესახებ ინფორმაცია. ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან ასევე ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ შეთანხმებას.
დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საექთნო განათლება მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 28 პროფესიულ სტუდენტს. თითოეულ წელს მიიღებს 14 პროფესიულ სტუდენტს, სასწავლო გეგმის მიხედვით პარალელური სწავლებისას, თეორიული სწავლება ერთდროულად უწევთ 2 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, რაც ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი შეუფერხებლად განახორციელებს 28 (14+14) პროფესიული სტუდენტის სწავლებას. სწავლების მეორე წლის მეორე ნახევრიდან პროგრამის განხორციელება გრძელდება პარტნიორ კლინიკებში. ამ ეტაპზეც, ანალოგიურად პარალელურად სწავლება უწევს ორი წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, რაც ჯამურად არის მაქსიმუმ 28 პროფესიული სტუდენტი. პარტნიორ კლინიკებში სწავლებას უზრუნველყოფენ პრაქტიკის ინსტრუქტორები თანაფარდობით - 1/7.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კლინიკები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 26 პირი, მათ შორის 6 ზოგადი მოდულების (2 - საინფორმაციო ტექნოლოგია, 2 - უცხო ენა, 1 - კომუნიკაცია, 1- ქართული ენა ) განმახორციელებელი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 31, აქედან 11 - პირი პრაქტიკის ინსტრუქტორი.
პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას თითოეული მოდულისათვის ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, რათა ერთ-ერთი მათგანის მიერ კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას, მაგ. შვებულება, საავადმყოფო ფურცელი, სამსახურიდან წასვლა და სხვა, საფრთხეს არ უქმნის პროგრამის უწყვეტად განხორციელებას.

ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა პერსონალის დატვირთვის ფურცლები - საათების განაწილება კვირების მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა საექთნო განათლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი. განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. ვიზიტის დროს შედგა ასევე გასაუბრება, მოდულების, განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია, სწავლების და

ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც უნივერსიტეტის, ასევე, უნარების სააგენტოს მიერ და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთა ნაწილი ჩართული იყო მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. უნივერსიტეტს ჰყავს სამედიცინო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი და პროგრამის ხელმძღვანელი, რაც დასტურდება, როგორც პირადი საქმით, ისე გასაუბრებით. ისინი ჩართული არიან როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში, პერიოდულად ესწრებიან მეცადინეობებზე, კომპეტენციის ფარგლებსა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, ჩართული არიან შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში. ზრუნავენ პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებაზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შერჩევითი გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო განათლება მოდულებში მითითებული რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მატერიალური, ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცე. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში. დაწესებულების ვებ- გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ელექტრონული სახელმძღვანელოებით. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. დაწესებულებას სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #10, 18.05.2020, ბოლო ცვლილება შეტანილია 2025 წლის 11 მარტს, მუხლი 7). სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში-შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის.

დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ: უნივერსიტეტის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო განათლების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ფაქტობრივი ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- გაცემულ ხელფასს;
- ავტორიზაციის გადასახადი;
- მასალა-ნედლეულის ხარჯი.

ბიუჯეტში ასევე დაფიქსირებულია პროფიციტი, რაც ერთის მხრივ მიუთითებს რესურსების მდგრად განაწილებასა და პროგრამის ფინანსურ სტაბილურობაზე. პროფიციტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში დამატებით დაიფაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, განახორციელოს რესურსების განახლება და უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობა. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფინანსური მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ პროგრამის ბიუჯეტში გაითვალისწინოს პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლების გადამზადებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერისთვის აუცილებელი ხარჯები, მათ შორის შესაბამის ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში მონაწილეობა. ასევე, ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნას რესურსები სტუდენტთა ინტერესების მხარდაჭერისათვის საჭირო საგანმანათლებლო, დამატებითი ან მოტივაციური აქტივობების დაფინანსებისთვის. საპროგნოზო ბიუჯეტში აუცილებელია განისაზღვროს პროგრამის რენტაბელობის ზღვარი, რაც უზრუნველყოფს ფინანსური რისკების მართვას, რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და პროგრამის გრძელვადიან სტაბილურობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ბიუჯეტში გაითვალისწინოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსები, ასევე – სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის საჭირო თანხები. საპროგნოზო ბიუჯეტში საჭიროა განისაზღვროს პროგრამის რენტაბელობის ზღვარი, რათა მოხდეს ფინანსური რისკების შემცირება და პროგრამის ოპერირების გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფა**

**ექსპერტთა შეფასების, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება თანდართული დოკუმენტაციით;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- სამედიცინო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #10, 18.05.2020);
- ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

1.დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მუხლი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის /უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შეფასების მექანიზმებს, რომლისთვისაც მასში გაწერილია პროცედურები, რომელიც უნდა განახორციელოს დაწესებულებამ, რომ უპასუხოს მისი ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს. შესაბამისად დაწესებულების მიერ დაგეგმილია აქტივობები, რომლის საფუძველზეც დადგენილი აქვთ უნივერსიტეტის შიდა გამოწვევები და ასევე გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებები. ასევე პროგრამის შეფასებისა და განვითარებისთვის ამავე მექანიზმის დაცვით დაწესებულება გეგმავს გამოავლინოს პროგრამების განხორციელებაში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. დაწესებულების შიდა კვლევების სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები/პროგრამის განმახორციელებელი პირები და ადმინისტრაციული პერსონალი. გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დადგენისთვის კვლევების სამიზნე აუდიტორია კი - კურსდამთავრებულები, პრაქტიკის განმახორციელებელი ბაზები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვ. კვლევების შედეგების და შეფასების გაანალიზება დაეხმარება დაწესებულებას განახორციელოს მისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. რეგულარული კვლევების განხორციელება არის სასწავლო პროცესებზე დაკვირვების, მონიტორინგის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის ადმინისტრაცია გეგმავს პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ადმინისტრაციის სრულ ჩართულობას; დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევის მეთოდოლოგია. ისინი მათგან მიღებულ უკუკავშირს, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებსა და შემოსულ წინადადებებს გაითვალისწინებენ პროგრამების განხორციელების შეფასებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

2.დაწესებულებაში მოქმედი შიდა ნორმატიული აქტების: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად რისთვისაც მათ მიერ წარმოდგენილი იქნა ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა, დოკუმენტაციები რაც ასახავდა მათივე რეგულაციების შესაბამისად განხორციელებულ ხარისხის უზრუნველყოფისთვის ჩატარებული სამუშაოების შედეგებს: კვლევების შეფასებებს, ანალიზსა და შემუშავებულ რეკომენდაციებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია, დამტკიცებული ახალციხის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები,
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,
- გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამების შეფასების დოკუმენტაცია :
- დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მტკიცებულებები;
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის საქთნო განათლება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს მოთხოვნის თანახმად თან ახლავს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 36,75 სასწავლო თვე, 147 სასწავლო კვირა (210 კრედიტი), ხოლო ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 131,25 სასწავლო თვე, 125 სასწავლო კვირა (180 კრედიტი). საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო გეგმა შედგენილია თანმიმდევრულად. დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა (2 კვირა). პროფესიულ სტუდენტებთან და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის მიხედვით.
სასწავლო განრიგის შედგენა ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება ადგილზე და ელექტრონულად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

2.დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს. პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერვიუებზე დადგინდა, რომ განმახორციელებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარები. პროგრამას აქვს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის, სასწავლო პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

**4.**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას, დაწესებულება ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაც გამოიხატება მოქნილ სწავლების მეთოდებში, ინდივიდუალურ მხარდაჭერაში და პრაქტიკულ და ინკლუზიურ მიდგომაში. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, როგორც შშმ და სსსმ სტატუსის მქონე პირებთან მიმართებაში ასევე, იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სჭირდებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება (მობილობით გადმოსული, სტატუსშეჩერებული და სხვა).

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. უნივერსიტეტი თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით, რომელიც ითვალისწინებს როგორც უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის, ისე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებებს. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის აუცილებელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახარჯი მასალის გამოყოფის შესახებ ვალდებულებას. ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას. ხელშეკრულებებით განსაზღვრულია განსახორციელებელი მოდულები, მათი მოცულობა და პრაქტიკის ობიექტზე მისაღები პროფესიული სტუდენტების კვოტა.

უნივერსიტეტს საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო განათლება ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სამ პარტნიორ კლინიკასთან:
1. სს ,,ევექსის ჰოსპიტლები" (11.06.2020) ავტორიზაციის საბჭოს მიერ მინიჭებული ზღვრული რაოდენობის შესაბამისად - 28 პროფესიული სტუდენტი;
2. სამედიცინო ცენტრი ,,სიცოცხლის ხე" (29.10.2021) – ავტორიზაციის საბჭოს მიერ მინიჭებული ზღვრული რაოდენობის შესაბამისად - 28 პროფესიული სტუდენტი;
3. აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი (29.10.2021) – ავტორიზაციის საბჭოს მიერ მინიჭებული ზღვრული რაოდენობის შესაბამისად - 28 პროფესიული სტუდენტი.
ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ იცნობენ ხელშეკრულებით და მოდულით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. .დაწესებულებაში შემუშავებულია უსაფრთხოების წესები და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია კოლეჯი თანამშრომლებს რეგულარულად უტარებს საინფორმაციო შეხვედრებს და ინსტრუქტაჟებს. ვიზუალური დათვალიერებითაც დადგინდა, რომ კოლეჯში დამონტაჟებულია მანიშნებლები, კვამლის დეტექტორები, სათანადო ადგილზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.
**ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება;
- სასწავლო გეგმები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #11, 18.05.2020);


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #9, 18.05.2020);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #10, 18.05.2020);
- 6. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციის და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.დაწესებულების აკადემიური საბჭოს 18.05.2020 წლის N 9 დადგენილებით (ბოლო ცვლილება აკადემიური საბჭოს 2025 წლის 23 ივნისის დადგენილება N732008 ) დამტკიცებულია ,,პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“. რომლის თანახმად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა ეფუძნება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. რეგულაცია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შეფასებისას ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებას, როგორებიცაა: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. სწავლის შედეგების შეფასების წესი ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს: შესაფასებელი სწავლის შედეგების იდენტიფიცირება; სწავლის შედეგებისათვის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა; შეფასების ინსტრუმენტის შექმნა; შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება; შეფასების განხორციელება; შეფასების შედეგების გაფორმება და მტკიცებულებათა შენახვა. **ზემოაღნიშნული წესის მე-10 მუხლში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცედურა სადაც აღნიშნულია, რომ ზოგადი მოდულების, ასევე პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივ ვალიდაციასა და ინსტრუმენტების მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებთან ფორმალურ შესაბამისობას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამისი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტების ჩართულობით (ე.წ/ ვალიდაციის ჯგუფი). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ერთი პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც ხელშეკრულებით განსაზღვრული აქვს 11 დარგობრივი და ერთი ზოგადი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულის განხორციელება. შესაბამისად ბუნდოვანია ვინ შეაფასებს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შედგენილ შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას მოდულით დადგენილ მოთხოვნებთან (ვალიდაცია). მეთოდოლოგიის შესაბამისად ვალიდაციის პროცედურა არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ამავე მუხლში აღნიშნულია, რომ შინაარსობრივი მიმართულებით შეფასების ინსტრუმენტების განხილვისას, ვალიდაციის ჯგუფი ხელმძღვანელობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, მოდულით და შეფასების ინსტრუმენტის კონტექსტში ადგენს:

ა) შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას შეფასების მიმართულებასთან;

ბ) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობას ანუ ინსტრუმენტის რელევანტურობას იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რომელიც ფასდება. ასევე იმას, რომ შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით;

გ) შეფასების სისტემის სამართლიანობას, ანუ ინსტრუმენტით გათვალისწინებული პროცესი მისცემს თუ არა საშუალებას პროფესიულ სტუდენტს, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები);

დ) შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას, ანუ რამდენად ცალსახად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია.

აღსანიშნავია რომ შეფასების სისტემის სამართლიანობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა არ მიემართება შეფასების ინსტრუმენტს, არამედ შეფასების პროცესს. შესაბამისად ზემოაღნიშნული შეფასების სისტემის პრინციპები განმარტებულია არასწორად.

დაწესებულებაში ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება. აღსანიშნავია, რომ შეფასების მტკიცებულებების შინაარსობრივი ნაწილი გამართულია, თუმცა დარღვეულია ვალიდაციის პროცედურა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც „ მეტწილად შესაბამისი" სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისიწინებულია შემდეგი აქტივობები : - 1. წესში ცვლილება ვალიდაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად ; 2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი. აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია (1. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 ივნისის დადგენილება N22) „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესი" სადაც გაწერილია როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით. ვერიფიკაციის მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განისაზღვრება ვერიფიკაციის განხორციელების განრიგი და ვერიფიკატორი (ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც უნდა შედიოდეს: პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის ხელმძღვანელი, ვერიფიკატორი (განათლება), ვერიფიკატორი (დარგი) (იმ დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება). ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში აგრეთვე შეიძლება შედიოდნენ მემორანდუმით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი, პროფესიული სტუდენტი, პირი სამინისტროს მიერ შექმნილი გუნდიდან ან სხვა პირი. წესი განსაზღვრავს ვერიფიკაციის დაგეგმვას, განხორციელებას და ანგარიშის მომზადების პროცედურას. ვერიფიკაციის დასკვნა მზადდება შესაბამისი ფორმის მიხედვით, რომელიც დანართის სახით ახლავს მექანიზმებს.
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესში გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურა როგორც საკვალიფიკაციო, ასევე მოკლევადიანი პროგრამებისთვის. „რეკომენდებულია შეიცვალოს აღნიშნული მექანიზმის სახელწოდება, ვინაიდან არსებული ფორმულირება — „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესი" — არ ასახავს დოკუმენტის შინაარსს სრულყოფილად..

დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ვერიფიკაციის პროცედურასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. **უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგ ეტაპებად:**
**ა) ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა**
**ბ) რეგულაციის შემუშავება**
**გ) რისკების განსაზღვრა**
**დ) ვერიფიკაციის განხორციელება**
**ე) შედეგის ანალიზი**
**ვ) უკუკავშირი - დაგეგმვა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ აღნიშნული დოკუმენტაციიდან წარმოადგინა მხოლოდ ვერიფიკაციის ანალიზი., დაწესებულებას არ წარმოუდგენია ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანება, ვერიფიკაციის გეგმა და რისკების სქემა. ექსპერტთა ჯგუფისთვის უცნობია, როგორ დაიგეგმა და განხორციელდა ვერიფიკაციის პროცესი
ვერიფიკაციის ანალიზში აღნიშნულია, რომ საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის რისკების მიხედვით შეარჩია 10 პროფესიული მოდული, რომელიც განხორციელდა 2025 წლის 24-28 თებერვალს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, ობიექტურობის, გამჭვირვალეობისა და სამართლიანობის შემოწმება აღნიშნულ ვადაში არარეალისტურია. აგრეთვე, ვერიფიკაციის დასკვნაში, არ იკვეთება ვალიდაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის საკითხი, და ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულია მხოლოდ ტექნიკური ხასიათის რეკომენდაცია. ვერიფიკაციის ანალიზს ხელს აწერს მხოლოდ განათლების ვერიფიკატორი - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი , ასევე ანგარიშს არ ახლავს თარიღი.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაწესებულების მიერ განხორციელებული ვერიფიკაცია არასრულყოფილია და არ ასახავს რეალურად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შემოწმების შედეგებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც ,, მეტწილად შესაბამისი" სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმავითარებელი შეფასებაც, .განმავითარებელი შეფასება როგორც ცოდნის, ისე სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეამოწმოს სტუდენტის გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სტუდენტთა ინფორმირებულობა შეფასების შედეგების შესახებ ხდება განზოგადოებულად. კონკრეტული სტუდენტის შეფასების შედეგები განიხილება მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“;
- ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესი“;
- გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბაგარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ო. ქველაძე ნ. მანჯგა

| | |
|---|---|
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 18 მაისის №8 დადგენილება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ 119 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | 20 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 117 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 87 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 147 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 117 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიული სტუდენტთა შეფასება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |

IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #10, 18.05.2020, ბოლო ცვლილება შეტანილია 2025 წლის 11 მარტს), რომლის თანახმად პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრების ორგანიზებას პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, დაწესებულების რესურსების ანალიზს, კონსულტაციებს ადმინისტრაციასთან. პროგრამის შემუშავებისა და არგუმენტირების/კვლევების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შემუშავებულ პროგრამას წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, ფაკულტეტის საბჭო განიხილავს წარმოდგენილ პროექტს და დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შემუშავებულ და განხილულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. შემუშავებულ და განხილულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს აკადემიური საბჭო. უნივერსიტეტის მისიაში ნათლად არის გაცხადებული პროფესიული განათლებისადმი დამოკიდებულება. მისიის განაცხადის თითოეული პუნქტი გულისხმობს პროფესიული განათლების განვითარებას და მოიცავს ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული მიზნებს. ერთ-ერთი მიზანია „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის" შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადება, დაეყრდნოს სამცხე-ჯავახეთის განვითარების პრიორიტეტებს, ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში.

სტრატეგიული განვითარების მთავარი მიმართულებაა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა სამცხე-ჯავახეთში, მრავალეროვანი მოსახლეობის ინტეგრაციის ხელშეწყობა პროფესიული განათლების კუთხით, რეგიონისთვის საჭირო კადრის მომზადება. პროგრამაზე სწავლას შეძლებენ როგორც ქართველი, ისე სომეხი ახალგაზრდები, სწავლების ენა ქართულია, შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში სომეხ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, დაეუფლონ სახელმწიფო ენას სახელმწიფო დაფინანსებით შემდეგ კი სწავლა გააგრძელოს პროფესიულ პროგრამაზე.

კომპიუტერული ქსელი და სისტემების საშუალო საფეხურის პროფესიული პროგრამის განხორციელება ინტეგრირებული მოდულებით ეხმიანება უნივერსიტეტის მიერ გაცხადებულ პრიორიტეტებს და ასახულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აღნიშნული პროგრამის განხორციელების ადგილად ქალაქი ახალქალაქი განსაზღვრა. ამით მან გაზარდა იმ ახალგაზრდების პროფესიულ განათლებაში ჩართვის შესაძლებლობა, რომლებსაც არ შეუძლიათ ახალციხეში ჩამოსვლა. პროგრამაზე სწავლის შესაძლებლობა აქვთ როგორც ქართველ, ისე სომეხ ახალგაზრდებს. სწავლების ენა ქართულია, შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში ეთნიკურად სომეხ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, დაეუფლონ სახელმწიფო ენას სახელმწიფო დაფინანსებით შემდეგ კი სწავლა გააგრძელოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საქართველოს შრომის ბაზრის კვლევის ანალიზმა აჩვენა გარკვეულ პროფესიებზე მაღალი მოთხოვნა - ერთ-ერთია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები - (10%). „საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის" (BAG) მიერ ჩატარებული კვლევის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიხედვით, შრომის ბაზარზე დეფიციტი განსაკუთრებით იგრძნობა საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, რაც ბიზნესის განვითარებას აფერხებს. დაწესებულება აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 2021 წლიდან, პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, 2024 წლის მიღების ფარგლებში 20 ადგილზე რეგისტრაცია გაიარა 50 -მა აპლიკანტმა. რაც შეეხება დასაქმების მაჩვენებელს, საშუალოდ კურსდამთავრებულთა 50 % დასაქმებულია მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობების და სტატუსის მოპოვება რეგულირდება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #11, 18.05.2020, ბოლო ცვლილება შეტანილია 2025 წლის 23 ივნისს). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნასთან. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებას და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, რომელშიც გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურები. შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #33, 08.05.2018), რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის განხორციელების მიდგომებს, მის სპეციფიკას, ადამიანურ რესურსებს, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დამატებით ფაქტორებს, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას, პარტნიორი საწარმოს რესურსს და სხვა. მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა დოკუმენტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულების მიერ პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ასევე, საგანმანათლებლო რესურსების ანალიზით და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებულია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ ( 18.05.2020 წ დადგენილება № 8). რამდენადაც დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის -„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ 3.1 მუხლის თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს და ამტკიცებს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, დგინდება, რომ პროგრამა უფლებამოსილი ორგანოს მიერ არის დამტკიცებული.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება კომპიუტერული ქსელი და სისტემები პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებას. შესაბამისია პროგრამის შინაარსთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი . დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს: პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს, სასწავლო გეგმას, ინფორმაციას პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული - „ქართული ენა A2“ და აღნიშნული მოდულის განხორციელების სასწავლო გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები, გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #10, 18.05.2020),
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #11, 18.05.2020);
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #33 08.05.2018),
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" სასწავლო გეგმა - პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მოდულები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
1. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
2. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები" თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს ახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ 119. დაწესებულება გეგმავს, მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი პროგრამის ფარგლებში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო განაცხადში, პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით მითითებული იყო 20 პროფესიული სტუდენტი, თუმცა წარმოდგენილ ყველა ჩანაწერსა და დოკუმენტში ფიქსირდებოდა 40 პროფესიული სტუდენტი ( 20 ინტეგრირებული მიდგომით). დაწესებულების რექტორის განმარტებით აღნიშნული წარმოადგენდა ტექნიკურ უზუსტობას. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 17/06/2021 წლის N590346 გადაწყვეტილებით, მინიჭებული ჰქონდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 40 მათ შორის 20 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული მიდგომით.
ვიზიტის დროს, აღნიშნულის შესახებ დაწესებულებამ წერილით აცნობა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს, ექსპერტთა ჯგუფმა მხედველობაში მიიღო ზემოხსენებული გარემოება.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას ახალქალაქის მისამართზე გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

A გარემო - თეორიულ კომპონენტისთვის, ხოლო პრაქტიკული კომპონენტისთვის B გარემო. აღნიშნული გარემოები განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის
სამი B გარემო/კომპიუტერული კლასი - პროფესიული სტუდენტისთვის 20 სამუშაო ადგილით. ყველა აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი).
პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად დაწესებულებას არ ჰყავს პროგრამის თანაგანმახორციელებელი კომპანია. დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად გადაამოწმა პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსების არსებობა, ასევე გადამოწმდა შესყიდვის დოკუმენტები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 19 პირი, მათ შორის 8 პირი ახორციელებს პროგრამის დარგობრივ მოდულებს.
პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას თითოეული მოდულისათვის ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, რათა ერთ-ერთი მათგანის მიერ კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას, მაგ. შვებულება, საავადმყოფო ფურცელი, სამსახურიდან წასვლა და სხვა, საფრთხეს არ უქმნის პროგრამის უწყვეტად განხორციელებას.

ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა პერსონალის დატვირთვის ფურცლები - საათების განაწილება კვირების მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა საექთნო განათლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს პროფესიული განათლების


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელი. განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. ვიზიტის დროს შედგა ასევე გასაუბრება, მოდულების, განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია, სწავლების და ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც უნივერსიტეტის, ასევე, უნარების სააგენტოს მიერ და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთა ნაწილი ჩართული იყო მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. უნივერსიტეტს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში. ხელს უწყობს პროგრამის განხორციელებას, განვითარებას და მასში ცვლილებების შეტანას, ასევე მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაში, და სხვა. უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსის არგუმენტირებულ დასაბუთებას, აცნობს სტუდენტებს კოლეჯის შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, ახდენს სტუდენტების ინფორმირებულობას მათი უფლება-მოვალეობების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შერჩევითი გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მატერიალური, ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცე. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში. დაწესებულების ვებ- გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ელექტრონული სახელმძღვანელოებით. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. დაწესებულებას სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #10, 18.05.2020, ბოლო ცვლილება შეტანილია 2025 წლის 11 მარტს, მუხლი 7). სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში-შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის.

დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ: უნივერსიტეტის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ფაქტობრივი ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- გაცემულ ხელფასს;
- ავტორიზაციის გადასახადი;
- მასალა-ნედლეულის ხარჯი.

ბიუჯეტში ასევე დაფიქსირებულია პროფიციტი, რაც ერთის მხრივ მიუთითებს რესურსების მდგრად განაწილებასა და პროგრამის ფინანსურ სტაბილურობაზე. პროფიციტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში დამატებით დაიფაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, განახორციელოს რესურსების განახლება და უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობა. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფინანსური მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ პროგრამის ბიუჯეტში გაითვალისწინოს პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლების გადამზადებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერისთვის აუცილებელი ხარჯები, მათ შორის შესაბამის ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ღონისძიებებში მონაწილეობა. ასევე, ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნას რესურსები სტუდენტთა ინტერესების მხარდაჭერისათვის საჭირო საგანმანათლებლო, დამატებითი ან მოტივაციური აქტივობების დაფინანსებისთვის. საპროგნოზო ბიუჯეტში აუცილებელია განისაზღვროს პროგრამის რენტაბელობის ზღვარი, რაც უზრუნველყოფს ფინანსური რისკების მართვას, რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და პროგრამის გრძელვადიან სტაბილურობას.

**დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ბიუჯეტში გაითვალისწინოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსები, ასევე – სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის საჭირო თანხები. საპროგნოზო ბიუჯეტში საჭიროა განისაზღვროს პროგრამის რენტაბელობის ზღვარი, რათა მოხდეს ფინანსური რისკების შემცირება და პროგრამის ოპერირების გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფა**

**ექსპერტთა შეფასების, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ თანდართული დოკუმენტაციით;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #10, 18.05.2020);
- ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების  შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

1.დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მუხლი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის /უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შეფასების მექანიზმებს, რომლისთვისაც მასში გაწერილია პროცედურები, რომელიც უნდა განახორციელოს დაწესებულებამ, რომ უპასუხოს მისი ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს. შესაბამისად დაწესებულების მიერ დაგეგმილია  აქტივობები, რომლის საფუძველზეც დადგენილი აქვთ უნივერსიტეტის შიდა გამოწვევები და ასევე გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებები. ასევე პროგრამის შეფასებისა და განვითარებისთვის ამავე მექანიზმის დაცვით დაწესებულება გეგმავს  გამოავლინოს  პროგრამების განხორციელებაში არსებული ხარვეზები და დასახოს  მათი აღმოფხვრის გზები. დაწესებულების  შიდა კვლევების სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები/პროგრამის განმახორციელებელი პირები და ადმინისტრაციული პერსონალი. გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დადგენისთვის კვლევების სამიზნე აუდიტორია კი - კურსდამთავრებულები, პრაქტიკის განმახორციელებელი ბაზები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვ. კვლევების შედეგების და შეფასების გაანალიზება დაეხმარება დაწესებულებას განახორციელოს მისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. რეგულარული კვლევების განხორციელება არის სასწავლო პროცესებზე დაკვირვების, მონიტორინგის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის  ადმინისტრაცია გეგმავს  პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი  პერსონალისა და ადმინისტრაციის სრულ  ჩართულობას; დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევის მეთოდოლოგია. ისინი მათგან მიღებულ უკუკავშირს, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებსა და შემოსულ წინადადებებს გაითვალისწინებენ პროგრამების განხორციელების შეფასებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.დაწესებულებაში მოქმედი შიდა ნორმატიული აქტების: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად რისთვისაც მათ მიერ წარმოდგენილი იქნა ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა, დოკუმენტაციები რაც ასახავდა მათივე რეგულაციების შესაბამისად განხორციელებულ ხარისხის უზრუნველყოფისთვის ჩატარებული სამუშაოების შედეგებს: კვლევების შეფასებებს, ანალიზსა და შემუშავებულ რეკომენდაციებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია, დამტკიცებული ახალციხის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები,
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,
- გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამების შეფასების დოკუმენტაცია :
- დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მტკიცებულებები;
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბაგარი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის კომპიუტერული ქსელი და სისტემები სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს მოთხოვნის თანახმად თან ახლავს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო გეგმა შედგენილია თანმიმდევრულად. დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების განმეორებითი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა (2 კვირა). პროფესიულ სტუდენტებთან და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის მიხედვით.
სასწავლო განრიგის შედგენა ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და ელექტრონულად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს. პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერვიუებზე დადგინდა, რომ განმახორციელებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარები. პროგრამას აქვს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის, სასწავლო პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

**4.**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას, დაწესებულება ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაც გამოიხატება მოქნილ სწავლების მეთოდებში, ინდივიდუალურ მხარდაჭერაში და პრაქტიკულ და ინკლუზიურ მიდგომაში. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, როგორც შშმ და სსსმ სტატუსის მქონე პირებთან მიმართებაში ასევე, იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სჭირდებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება (მობილობით გადმოსული, სტატუსშეჩერებული და სხვა).

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებული მიდგომით, შესაბამისად დაწესებულებას თანაგანმახორციელებლი დაწესებულება არ ჰყავს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. .დაწესებულებაში შემუშავებულია უსაფრთხოების წესები და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია კოლეჯი თანამშრომლებს რეგულარულად უტარებს საინფორმაციო შეხვედრებს და ინსტრუქტაჟებს. ვიზუალური დათვალიერებითაც დადგინდა, რომ კოლეჯში დამონტაჟებულია მანიშნებლები, კვამლის დეტექტორები, სათანადო ადგილზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.
**ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები;
- სასწავლო გეგმები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #11, 18.05.2020);
- პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #9, 18.05.2020);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #10, 18.05.2020);
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციის და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.დაწესებულების აკადემიური საბჭოს 18.05.2020 წლის N 9 დადგენილებით (ბოლო ცვლილება აკადემიური საბჭოს 2025 წლის 23 ივნისის დადგენილება N732008 ) დამტკიცებულია ,,პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი". რომლის თანახმად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა ეფუძნება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. რეგულაცია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შეფასებისას ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებას, როგორებიცაა: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. სწავლის შედეგების შეფასების წესი ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს: შესაფასებელი სწავლის შედეგების იდენტიფიცირება; სწავლის შედეგებისათვის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა; შეფასების ინსტრუმენტის შექმნა; შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება; შეფასების განხორციელება; შეფასების შედეგების გაფორმება და მტკიცებულებათა შენახვა. **ზემოაღნიშნული წესის მე-10 მუხლში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცედურა სადაც აღნიშნულია, რომ ზოგადი მოდულების, ასევე პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივ ვალიდაციასა და ინსტრუმენტების მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებთან ფორმალურ შესაბამისობას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამისი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტების ჩართულობით (ე.წ/ ვალიდაციის ჯგუფი). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ერთი პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც ხელშეკრულებით განსაზღვრული აქვს 6 დარგობრივი მოდულის განხორციელება. შესაბამისად ბუნდოვანია ვინ შეაფასებს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შედგენილ შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას მოდულით დადგენილ მოთხოვნებთან (ვალიდაცია). მეთოდოლოგიის შესაბამისად ვალიდაციის პროცედურა არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**
**ამავე მუხლში აღნიშნულია, რომ შინაარსობრივი მიმართულებით შეფასების ინსტრუმენტების განხილვისას, ვალიდაციის ჯგუფი ხელმძღვანელობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, მოდულით და შეფასების ინსტრუმენტის კონტექსტში ადგენს:**
**ა) შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას შეფასების მიმართულებასთან;**
**ბ) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობას ანუ ინსტრუმენტის რელევანტურობას იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რომელიც ფასდება. ასევე იმას, რომ შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ[signature]
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[signatures] თ. ქვლივიძე [signature] ნ. მანჯგა[signature]

**გ) შეფასების სისტემის სამართლიანობას, ანუ ინსტრუმენტით გათვალისწინებული პროცესი მისცემს თუ არა საშუალებას პროფესიულ სტუდენტს, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები);**
**დ) შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას, ანუ რამდენად ცალსახად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია.**
**აღსანიშნავია რომ შეფასების სისტემის სამართლიანობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა არ მიემართება შეფასების ინსტრუმენტს, არამედ შეფასების პროცესს. შესაბამისად ზემოაღნიშნული შეფასების სისტემის პრინციპები განმარტებულია არასწორად.**

**დაწესებულებაში ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება. აღსანიშნავია, რომ შეფასების ინსტრუმენტში მოცემული შეფასების მიმართულება არ იყო შესაბამისობაში მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებთან, შესაბამისად დავალებაც შედგენილი იყო არასწორად. მაგალითად პრაქტიკული დავალების ნაცვლად შეფასების ინსტრუმენტში მოცემული იყო წერილობით გამოკითხვა და ტესტური დავალებები. აღნიშნული ცხადყოფს, რომ შეფასებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტი არ არის ვალიდური.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.**

2.დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია (1. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 ივნისის დადგენილება N22) ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესი“ სადაც გაწერილია როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით. ვერიფიკაციის მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განისაზღვრება ვერიფიკაციის განხორციელების განრიგი და ვერიფიკატორი (ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც უნდა შედიოდეს: პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის ხელმძღვანელი, ვერიფიკატორი (განათლება), ვერიფიკატორი (დარგი) (იმ დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება). ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში აგრეთვე შეიძლება შედიოდნენ მემორანდუმით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი, პროფესიული სტუდენტი, პირი სამინისტროს მიერ შექმნილი გუნდიდან ან სხვა პირი. წესი განსაზღვრავს ვერიფიკაციის დაგეგმვას, განხორციელებას და ანგარიშის მომზადების პროცედურას. ვერიფიკაციის დასკვნა მზადდება შესაბამისი ფორმის მიხედვით, რომელიც დანართის სახით ახლავს მექანიზმებს.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესში გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურა როგორც საკვალიფიკაციო, ასევე მოკლევადიანი პროგრამებისთვის. „რეკომენდებულია შეიცვალოს აღნიშნული მექანიზმის სახელწოდება, ვინაიდან არსებული ფორმულირება — „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესი" — არ ასახავს დოკუმენტის შინაარსს სრულყოფილად..

დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ვერიფიკაციის პროცედურასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგ ეტაპებად:
ა) ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა
ბ) რეგულაციის შემუშავება
გ) რისკების განსაზღვრა
დ) ვერიფიკაციის განხორციელება
ე) შედეგის ანალიზი
ვ) უკუკავშირი - დაგეგმვა

დაწესებულებამ აღნიშნული დოკუმენტაციიდან წარმოადგინა მხოლოდ ვერიფიკაციის ანალიზი., დაწესებულებას არ წარმოუდგენია ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანება, ვერიფიკაციის გეგმა და რისკების სქემა. ექსპერტთა ჯგუფისთვის უცნობია, როგორ დაიგეგმა და განხორციელდა ვერიფიკაციის პროცესი
ვერიფიკაციის ანალიზში აღნიშნულია, რომ საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის რისკების მიხედვით შეარჩია 5 პროფესიული მოდული, რომელიც განხორციელდა 2025 წლის 21-25 აპრილს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, ობიექტურობის, გამჭვირვალეობისა და სამართლიანობის შემოწმება აღნიშნულ ვადაში არარეალისტურია. აგრეთვე, ვერიფიკაციის დასკვნაში, არ იკვეთება არასწორად შედგენილ შეფასების ინსტრუმენტისა და ვალიდაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის საკითხი. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულია მხოლოდ ტექნიკური ხასიათის რეკომენდაცია. ვერიფიკაციის ანალიზს ხელს აწერს მხოლოდ განათლების ვერიფიკატორი - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი , ასევე ანგარიშს არ ახლავს თარიღი.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაწესებულების მიერ განხორციელებული ვერიფიკაცია არასრულყოფილია და არ ასახავს რეალურად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შემოწმების შედეგებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაწესებულების მიერ განხორციელებული ვერიფიკაცია არასრულყოფილია და არ ასახავს რეალურად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შემოწმების შედეგებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც „ მეტწილად შესაბამისი"



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმავითარებელი შეფასებაც, .განმავითარებელი შეფასება როგორც ცოდნის, ისე სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.
აღნიშნული შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეამოწმოს სტუდენტის გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.
სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სტუდენტთა ინფორმირებულობა შეფასების შედეგების შესახებ ხდება განზოგადოებულად. კონკრეტული სტუდენტის შეფასების შედეგები განიხილება მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი";
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები;
- ვერიფკაციის დასკვნა;
- ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესი";



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბუღალტრული აღრიცხვა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0411 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცების რეკვიზიტები: დადგენილება N37; 05.08.2015, ბოლო ცვლილება 07.11.2025 წლის აკადემიური საბჭოს N1557351 დადგენილება. |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ 122 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 15 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 129 |

## V. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |

**IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ბუღალტრული აღრიცხვა“, განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, სადაც განხილულია პროგრამის თანხვედრა დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან, ასევე რეგისტრაციის და ჩარიცხვის მაჩვენებლები, დოკუმენტის ფარგლებში გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ,,უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა 2025“, პროგრამის კურსდამთავრებულთა კვლევა. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიუირების შედეგად აღნიშნა, რომ აანალიზებენ რეგიონის საჭიროებას გამოცხადებულ ვაკანსიებს, საიდანაც დასტურდება ბუღალტრის კვალიფიკაციის მქონე კადრებზე მოთხოვნა.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს # 10 დადგენილებით (18.05.2020 წ. ოქმი # 2). მეთოდოლოგიაში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, შეცვლა ან გაუქმების მექანიზმები.
ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუირება განხორციელდა პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან, რომლებმაც დაადასტურეს პროგრამის შემუშავებასა და მასში ცვლილების შეტანის პროცესში ჩართულობა. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში სამუშაო ჯგუფის კოორდინირებასა და რეკომენდაციების მიცემით განისაზღვრება.
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა ,,უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, სწავლებისა და კვლევის გზით, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში“; შესაბამისად, პროფესიული პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ მიესადაგება კოლეჯის მისიას და და სტრატეგიულ გეგმას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: “ბუღალტრული აღრიცხვის” პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, პროგრამაზე დაშვება ხორციელდება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული შეფასების სისტემით კანონმდებლობის შესაბამისად. უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტთა პროგრამებზე ჩარიცხვა რეგულირდება ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 11 (18.05.2020 წ. ოქმი № 2). წინამდებარე წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესსა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ...
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირობებს, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება; აპლიკანტთა რეგისტრაციას; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; აპლიკანტთა შერჩევას უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება; პროფესიულ პროგრამაზე აპლიკანტთა შესარჩევი და სააპელაციო კომისიის ფორმირების და მუშაობის წესს; პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვას.
,,ზუღალტრული აღრიცხვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს მის რეიტინგულ ქულას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აპლიკანტი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულია, როგორც საარსებო შემწეობის მიმღები პირი. აღნიშნულ შემთხვევაში მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით. უნივერსიტეტში უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:
ა) 70%-ის ფარგლებში, იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;
ბ) 30%-ის ფარგლებში, იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და
უმაღლესი განათლება.
ვიზიტის ფარგლებში პროფესიული სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელდა ინტერვიუირება, მათ დაადასტურეს რომ უნივერსიტეტში პროფესიულ პროგრამაზე მათი ჩარიცხვა განხორციელდა დადგენილი პროცედურების სრული დაცვით.
პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომლებიც პროგრამის განხორციელების ვადაში შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით N33 (08.05.2018 წ;. ოქმი N 8.) დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რაც თავის მხრივ ადგენს უნივერსიტეტში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმებს, ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას. უნივერსიტეტში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება უნივერსიტეტის სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.
ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ რეგულაცია ითვალისწინებს ადამიანური რესურსებს, პრაქტიკის ობიექტზე არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობასა და პროფესიული სტუდენტების გამტარუნარიანობის შესაძლებლობებს. უნივერსიტეტს ამ ეტაპზე აღნიშნულ მისამართზე ,,ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული პროგრამისთვის გააჩნია 1 (ერთი) A/B გარემო, რომელიც გამოიყენება ასევე C გარემოდ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დგინდება ვიზუალური დათვალიერებით და რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობის კვლევას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში. სტუდენტები აღნიშნული რესურსების შესაბამისობას და ხელმისაწვდომობას აფასებენ დადებითად. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო კომპიუტერები აღჭურვილია ბუღალტრული აღრიცხვის სწავლისთვის საჭირო ბუღალტრული პროგრამების სასწავლო ვერსიით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5 - „ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ზოგად და პროფესიულ მოდულებს და არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით # 10-ით (18.05.2020 წ. ოქმი # 2) დამტკიცებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია". დოკუმენტის თანახმად, პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს ფაკულტეტი და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა დამტკიცებულია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N37-ით (ოქმი N8, 2015 წლის 5 აგვისტო), ვიზიტის ფარგლებში პროგრამაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ, დაზუსტდა პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი მოდულებთან მიმართებაში. (07.11.2025 აკადემიური საბჭოს N1557351 დადგენილება)

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ: „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია იდენტური სახელწოდების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, ასახავს საქმიანობის სფეროს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია კანონმდებლობით დამტკიცებული “ბუღალტრული აღრიცხვის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, სადაც განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ასევე ახლავს დისტანციური სწავლების დროს სარეკომენდაციო დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით დისტანციური სწავლების მიზანშეწონილობა კონკრეტული მოდულების/სწავლის შედეგების ფარგლებში და სხვ. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თას...

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ლ. ქვლივიძე   ნ. მანწკავა

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს # 10 დადგენილებით (18.05.2020 წ. ოქმი # 2).
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 11 (18.05.2020 წ. ოქმი № 2).
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია”( დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით N33 (08.05.2018 წ;. ოქმი N 8.).
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით # 10-ით (18.05.2020 წ. ოქმი # 2).
- „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- პროგრამის დამტკიცების და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების დადგენილებები;
- გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის

მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების პროგრამების მიზნებსა და სპეციფიკას. უნივერსიტეტი აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო სივრცეებით, პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო ინვენტარით, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, განავითარონ პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციები რეალურ სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურად დაახლოებულ პირობებში. გარდა ამისა, დაწესებულებაში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს როგორც ინდივიდუალურ მიდგომას, ისე მატერიალური რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას სასწავლო პროცესში. აღნიშნული პირობები მთლიანობაში ხელს უწყობს ხარისხიან პროფესიულ განათლებას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინამდებარე პროგრამაზე უნივერსიტეტში სწავლება განხორციელდება დაწესებულების ერთ A/B გარემოში 15 პროფესიული სტუდენტის ადგილით, ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია „ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ითვალისწინებს პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსსაც. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია მისი სასწავლო პროცესის მართვაში მონაწილეობა (კერძოდ: მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტის შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, ასევე მისი სხვა პროგრამებზე დატვირთვაც რაც ჯამში არ აღემატება კვირეულ 40 საათს. კომპიუტერებში დაინსტალირებულია საბუღალტრო სასწავლო პროგრამა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას. უნივერსიტეტი ,,ბურალტრული აღრიცხვის" პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას უზრუნველყოფს ადგილზე იმიტირებულ გარემოში, სასწავლო პროცესში ჩართული არიან პრაქტიკოსი ბუღალტრები, რომლებიც რეალურ ქეისებზე დაფუძნებით ახორციელებენ სწავლებას. უნივერსიტეტში ,,ბურალტრული აღზრიცხვის" პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 15 სტუდენტით. წინამდებარე პროგრამის მიზნებისტვის უნივერეისტს გამოყოფილი აქვს 15 კომპიუტერი, მათ შორის ერთი განკუთვნილია მასწავლებლისთვის, აუდიტორია აღჭურვილია მულტიფუნქციური კომბაინით (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები). ვიზიტის ფარგლებში დათვალიერდა სასწავლო გარემო, რომელიც შეესაბამება პროფესიულ პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასების, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა", განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 8 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს არანაკლებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ, განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები განხორციელებულ ან მიმდინარე მოდულებზე, სადაც ასახულია კანონმდებლობით დადგენილი ყველა არსებითი პირობა და შესაბამისი პუნქტი.

ექსპერტთა შეფასების, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია,** კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ,,ბუღალტრული აღრიცხვა“, ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობისა და კოლეჯის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, მათ აქვთ შესაბამისი განათლება ან/და სწავლების, ან/და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება. უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედითაც ისინი დადებითად აფასებენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, კერძოდ, მათ კომპეტენციას. პროფესიული სტუდენტების შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი და პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების შესაბამისი კომპეტენცია. ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების დროს ცალსახად გამოიკვეთა პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციით კმაყოფილება.
აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული მასწავლებლები მუდმივად ინარჩუნებენ კონტაქტს კურსდამთავრებულებთან, საჭიროების შემთხვევაში კურსდამთავრებულებს უწევენ პროფესიულ კონსულტაციას. ასევე, ჩართული არიან პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულებების დასაქმების პროცესში.

ექსპერტთა შეფასების, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ: უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ერთი ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ იცნობზენ პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო სპეციფიკას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, რასაც ასევე ადასტურებს ხელმძღვანელის პირადი საქმე-დიპლომით მინიჭებული კვალიფიკაცია და სამუშაო გამცდილების ამსახველი დოკუმენტაცია. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერიუს შედეგად ასევე დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების, განახლების, პროგრამის განმახორციელებელი პირების შერჩევის პროცესში.

ექსპერტთა შეფასების, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ: დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. ,,ბუღალტრული აღრიცხვის" საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, გაციფრულებულია და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტს აქვს საკანონმდებლო ბაზაზე წვდომა, სტუდენტებისთვის და მასწავლებლებისთვის საკანონმდებლო სიახლეების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, რომელიც აწვდის მოთხოვნილ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ელექტრონულ ვერსიებს. ვიზიტის ფარგლებში საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა დაადასტურეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

ექსპერტთა შეფასების, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ: დაწესებულებას გააჩნია მზაობა და შესაბამისი რესურსი, უზრუნველყოს სსსმ პირებისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერა, მათ შორის – საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა და სწავლის პროცესის ადაპტირებისათვის საჭირო მომსახურება. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით" განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის დამატებითი მხარდაჭერისა და მომსახურების სათანადო მექანიზმებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულის მოდიფიკაციასა და/ან აკომოდაციას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებებთან შესაბამისი დამატებითი მომსახურების განსაზღვრას. საჭიროების შემთხვევაში დაინერგება რესურსების ადაპტირება, რათა ისინი სრულად მოერგოს სსსმ პირის ინდივიდუალურ სასწავლო მოთხოვნებს.
აღსანიშნავია, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ამ ეტაპზე სსსმ პირები არ არიან ჩარიცხული.

ექსპერტთა შეფასების, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ: უნივერსიტეტის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის“ მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ფაქტობრივი ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- გაცემულ ხელფასს;
- ავტორიზაციის გადასახადი;
- მასალა-ნედლეულის ხარჯი.

ბიუჯეტში ასევე დაფიქსირებულია პროფიციტი, რაც ერთის მხრივ მიუთითებს რესურსების მდგრად განაწილებასა და პროგრამის ფინანსურ სტაბილურობაზე. პროფიციტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში დამატებით დაიფაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, განახორციელოს რესურსების განახლება და უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობა. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფინანსური მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ პროგრამის ბიუჯეტში გაითვალისწინოს პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლების გადამზადებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერისთვის აუცილებელი ხარჯები, მათ შორის შესაბამის ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში მონაწილეობა. ასევე, ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნას რესურსები სტუდენტთა ინტერესების მხარდაჭერისათვის საჭირო საგანმანათლებლო, დამატებითი ან მოტივაციური აქტივობების დაფინანსებისთვის. საპროგნოზო ბიუჯეტში აუცილებელია განისაზღვროს პროგრამის რენტაბელობის ზღვარი, რაც უზრუნველყოფს ფინანსური რისკების მართვას, რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და პროგრამის გრძელვადიან სტაბილურობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ბიუჯეტში გაითვალისწინოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსები, ასევე – სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის საჭირო თანხები. საპროგნოზო ბიუჯეტში საჭიროა განისაზღვროს პროგრამის რენტაბელობის ზღვარი, რათა მოხდეს ფინანსური რისკების შემცირება და პროგრამის ოპერირების გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფა

ექსპერტთა შეფასების, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 11 (18.05.2020 წ. ოქმი № 2).
- „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებლების პირადი საქმეები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი;
- პროფესიული მასწავლებლების დატვირთის სქემა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულება;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ბიბლიოთეკის კატალოგი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის კმაყოფილების კვლევის ანალიზი;
- „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

3. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
4. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

1.დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მუხლი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის /უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შეფასების მექანიზმებს, რომლისთვისაც მასში გაწერილია პროცედურები, რომელიც უნდა განახორციელოს დაწესებულებამ, რომ უპასუხოს მისი ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს. შესაბამისად დაწესებულების მიერ დაგეგმილია აქტივობები, რომლის საფუძველზეც დადგენილი აქვთ უნივერსიტეტის შიდა გამოწვევები და ასევე გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებები. ასევე პროგრამის შეფასებისა და განვითარებისთვის ამავე მექანიზმის დაცვით დაწესებულება გეგმავს გამოავლინოს პროგრამების განხორციელებაში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. დაწესებულების შიდა კვლევების სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები/პროგრამის განმახორციელებელი პირები და ადმინისტრაციული პერსონალი. გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დადგენისთვის კვლევების სამიზნე აუდიტორია კი - კურსდამთავრებულები, პრაქტიკის განმახორციელებელი ბაზები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვ. კვლევების შედეგების და შეფასების გაანალიზება დაეხმარება დაწესებულებას განახორციელოს მისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. რეგულარული კვლევების განხორციელება არის სასწავლო პროცესებზე დაკვირვების, მონიტორინგის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის ადმინისტრაცია გეგმავს პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ადმინისტრაციის სრულ ჩართულობას; დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევის მეთოდოლოგია. ისინი მათგან მიღებულ უკუკავშირს, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებსა და შემოსულ წინადადებებს გაითვალისწინებენ პროგრამების განხორციელების შეფასებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.დაწესებულებაში მოქმედი შიდა ნორმატიული აქტების: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად რისთვისაც მათ მიერ წარმოდგენილი იქნა ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა, დოკუმენტაციები რაც ასახავდა მათივე რეგულაციების შესაბამისად განხორციელებულ ხარისხის უზრუნველყოფისთვის ჩატარებული სამუშაოების შედეგებს: კვლევების შეფასებებს, ანალიზსა და შემუშავებულ რეკომენდაციებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია, დამტკიცებული ახალციხის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები,
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,
- გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამების შეფასების დოკუმენტაცია :
- დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მტკიცებულებები;
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**
**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ბუღალტრული აღრიცხვა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს მოთხოვნის თანახმად თან ახლავს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო გეგმა შედგენილია თანმიმდევრულად. დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების განმეორებითი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა (2 კვირა). პროფესიულ სტუდენტებთან და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის მიხედვით.
სასწავლო განრიგის შედგენა ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და ელექტრონულად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს. პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერვიუებზე დადგინდა, რომ განმახორციელებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარები. პროგრამას აქვს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის, სასწავლო პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

**4.**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას, დაწესებულება ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაც გამოიხატება მოქნილ სწავლების მეთოდებში, ინდივიდუალურ მხარდაჭერაში და პრაქტიკულ და ინკლუზიურ მიდგომაში. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, როგორც შშმ და სსსმ სტატუსის მქონე პირებთან მიმართებაში ასევე, იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სჭირდებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება (მობილობით გადმოსული, სტატუსშეჩერებული და სხვა).

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებული მიდგომით, შესაბამისად დაწესებულებას თანაგანმახორციელებლი დაწესებულება არ ჰყავს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. .დაწესებულებაში შემუშავებულია უსაფრთხოების წესები და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია კოლეჯი თანამშრომლებს რეგულარულად უტარებს საინფორმაციო შეხვედრებს და ინსტრუქტაჟებს. ვიზუალური დათვალიერებითაც დადგინდა, რომ კოლეჯში დამონტაჟებულია მანიშნებლები, კვამლის დეტექტორები, სათანადო ადგილზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.
**ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ბუღალტრული აღრიცხვა;
- სასწავლო გეგმები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #11, 18.05.2020);
- პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #9, 18.05.2020);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #10, 18.05.2020);
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციის და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.დაწესებულების აკადემიური საბჭოს 18.05.2020 წლის N 9 დადგენილებით (ბოლო ცვლილება აკადემიური საბჭოს 2025 წლის 23 ივნისის დადგენილება N732008 ) დამტკიცებულია ,,პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“. რომლის თანახმად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა ეფუძნება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. რეგულაცია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შეფასებისას ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებას, როგორებიცაა: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. სწავლის შედეგების შეფასების წესი ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს: შესაფასებელი სწავლის შედეგების იდენტიფიცირება; სწავლის შედეგებისათვის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა; შეფასების ინსტრუმენტის შექმნა; შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება; შეფასების განხორციელება; შეფასების შედეგების გაფორმება და მტკიცებულებათა შენახვა. **ზემოაღნიშნული წესის მე-10 მუხლში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცედურა სადაც აღნიშნულია, რომ ზოგადი მოდულების, ასევე პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივ ვალიდაციასა და ინსტრუმენტების მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებთან ფორმალურ შესაბამისობას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამისი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტების ჩართულობით (ე.წ/ ვალიდაციის ჯგუფი). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ერთი პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც ხელშეკრულებით განსაზღვრული აქვს 6 დარგობრივი მოდულის განხორციელება. შესაბამისად ბუნდოვანია ვინ შეაფასებს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შედგენილ შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას მოდულით დადგენილ მოთხოვნებთან (ვალიდაცია). მეთოდოლოგიის შესაბამისად ვალიდაციის პროცედურა არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**
**ამავე მუხლში აღნიშნულია, რომ შინაარსობრივი მიმართულებით შეფასების ინსტრუმენტების განხილვისას, ვალიდაციის ჯგუფი ხელმძღვანელობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, მოდულით და შეფასების ინსტრუმენტის კონტექსტში ადგენს:**
**ა) შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას შეფასების მიმართულებასთან;**
**ბ) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობას ანუ ინსტრუმენტის რელევანტურობას იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რომელიც ფასდება. ასევე იმას, რომ შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გ) შეფასების სისტემის სამართლიანობას, ანუ ინსტრუმენტით გათვალისწინებული პროცესი მისცემს თუ არა საშუალებას პროფესიულ სტუდენტს, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები);
დ) შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას, ანუ რამდენად ცალსახად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია.
აღსანიშნავია რომ შეფასების სისტემის სამართლიანობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა არ მიემართება შეფასების ინსტრუმენტს, არამედ შეფასების პროცესს. შესაბამისად ზემოაღნიშნული შეფასების სისტემის პრინციპები განმარტებულია არასწორად.

დაწესებულებაში ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება. აღსანიშნავია, რომ შეფასების ინსტრუმენტში მოცემული შეფასების მიმართულება არ იყო შესაბამისობაში მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებთან, შესაბამისად დავალებაც შედგენილი იყო არასწორად. მაგალითად პრაქტიკული დავალების ნაცვლად შეფასების ინსტრუმენტში მოცემული იყო წერილობით გამოკითხვა და ტესტური დავალებები. აღნიშნული ცხადყოფს, რომ შეფასებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტი არ არის ვალიდური.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

2.დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია (1. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 ივნისის დადგენილება N22) „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესი“ სადაც გაწერილია როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით. ვერიფიკაციის მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განისაზღვრება ვერიფიკაციის განხორციელების განრიგი და ვერიფიკატორი (ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც უნდა შედიოდეს: პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის ხელმძღვანელი, ვერიფიკატორი (განათლება), ვერიფიკატორი (დარგი) (იმ დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება). ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში აგრეთვე შეიძლება შედიოდნენ მემორანდუმით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი, პროფესიული სტუდენტი, პირი სამინისტროს მიერ შექმნილი გუნდიდან ან სხვა პირი. წესი განსაზღვრავს ვერიფიკაციის დაგეგმვას, განხორციელებას და ანგარიშის მომზადების პროცედურას. ვერიფიკაციის დასკვნა მზადდება შესაბამისი ფორმის მიხედვით, რომელიც დანართის სახით ახლავს მექანიზმებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესში გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურა როგორც საკვალიფიკაციო, ასევე მოკლევადიანი პროგრამებისთვის. „რეკომენდებულია შეიცვალოს აღნიშნული მექანიზმის სახელწოდება, ვინაიდან არსებული ფორმულირება — „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესი“ — არ ასახავს დოკუმენტის შინაარსს სრულყოფილად..

დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ვერიფიკაციის პროცედურასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. **უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგ ეტაპებად:**

**ა) ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა**

**ბ) რეგულაციის შემუშავება**

**გ) რისკების განსაზღვრა**

**დ) ვერიფიკაციის განხორციელება**

**ე) შედეგის ანალიზი**

**ვ) უკუკავშირი - დაგეგმვა**

**დაწესებულებამ აღნიშნული დოკუმენტაციიდან წარმოადგინა მხოლოდ ვერიფიკაციის ანალიზი., დაწესებულებას არ წარმოუდგენია ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანება, ვერიფიკაციის გეგმა და რისკების სქემა. ექსპერტთა ჯგუფისთვის უცნობია, როგორ დაიგეგმა და განხორციელდა ვერიფიკაციის პროცესი**

**ვერიფიკაციის ანალიზში აღნიშნულია, რომ საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის რისკების მიხედვით შეარჩია 3 პროფესიული მოდული, რომელიც განხორციელდა 2025 წლის 23-27 ივნისს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, ობიექტურობის, გამჭვირვალეობისა და სამართლიანობის შემოწმება აღნიშნულ ვადაში არარეალისტურია. აგრეთვე, ვერიფიკაციის დასკვნაში, არ იკვეთება არასწორად შედგენილ შეფასების ინსტრუმენტისა და ვალიდაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის საკითხი. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულია მხოლოდ ტექნიკური ხასიათის რეკომენდაცია. ვერიფიკაციის ანალიზს ხელს აწერს მხოლოდ განათლების ვერიფიკატორი - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი , ასევე ანგარიშს არ ახლავს თარიღი.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაწესებულების მიერ განხორციელებული ვერიფიკაცია არასრულყოფილია და არ ასახავს რეალურად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შემოწმების შედეგებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაწესებულების მიერ განხორციელებული ვერიფიკაცია არასრულყოფილია და არ ასახავს რეალურად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შემოწმების შედეგებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც „ მეტწილად შესაბამისი“**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმავითარებელი შეფასებაც, .განმავითარებელი შეფასება როგორც ცოდნის, ისე სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.
აღნიშნული შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეამოწმოს სტუდენტის გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.
სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სტუდენტთა ინფორმირებულობა შეფასების შედეგების შესახებ ხდება განზოგადოებულად. კონკრეტული სტუდენტის შეფასების შედეგები განიხილება მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი";
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები;
- ვერიფკაციის დასკვნა;
- „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესი";



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბუღალტრული აღრიცხვა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0411 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცების რეკვიზიტები: დადგენილება N37; 05.08.2015, ბოლო ცვლილება 07.11.2025 წლის აკადემიური საბჭოს N1557351 დადგენილება. |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ახალქალაქი,აღმაშენებლის ქ 119, უნივერსიტეტის III კორპუსი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 129 |

## VI. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |

**IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ბუღალტრული აღრიცხვა", განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, სადაც განხილულია პროგრამის თანხვედრა დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან, ასევე რეგისტრაციის და ჩარიცხვის მაჩვენებლები, დოკუმენტის ფარგლებში გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ,,უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა 2025", პროგრამის კურსდამთავრებულთა კვლევა. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიუირების შედეგად აღნიშნა, რომ აანალიზებენ რეგიონის საჭიროებას გამოცხადებულ ვაკანსიებს, საიდანაც დასტურდება ბუღალტრის კვალიფიკაციის მქონე კადრებზე მოთხოვნა.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს # 10 დადგენილებით (18.05.2020 წ. ოქმი # 2). მეთოდოლოგიაში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, შეცვლა ან გაუქმების მექანიზმები.
ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუირება განხორციელდა პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან, რომლებმაც დაადასტურეს პროგრამის შემუშავებასა და მასში ცვლილების შეტანის პროცესში ჩართულობა. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში სამუშაო ჯგუფის კოორდინირებასა და რეკომენდაციების მიცემით განისაზღვრება.
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა ,,უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, სწავლებისა და კვლევის გზით, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში"; შესაბამისად, პროფესიული პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა" მიესადაგება კოლეჯის მისიას და და სტრატეგიულ გეგმას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: "ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, პროგრამაზე დაშვება ხორციელდება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული შეფასების სისტემით კანონმდებლობის შესაბამისად. უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტთა პროგრამებზე ჩარიცხვა რეგულირდება ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით", რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 11 (18.05.2020 წ. ოქმი № 2). წინამდებარე წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესსა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირობებს, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება; აპლიკანტთა რეგისტრაციას; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; აპლიკანტთა შერჩევას უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება; პროფესიულ პროგრამაზე აპლიკანტთა შესარჩევი და სააპელაციო კომისიის ფორმირების და მუშაობის წესს; პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვას.
,,ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს მის რეიტინგულ ქულას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აპლიკანტი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულია, როგორც საარსებო შემწეობის მიმღები პირი. აღნიშნულ შემთხვევაში მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით. უნივერსიტეტში უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:
ა) 70%-ის ფარგლებში, იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;
ბ) 30%-ის ფარგლებში, იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და
უმაღლესი განათლება.
ვიზიტის ფარგლებში პროფესიული სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელდა ინტერვიუირება, მათ დაადასტურეს რომ უნივერსიტეტში პროფესიულ პროგრამაზე მათი ჩარიცხვა განხორციელდა დადგენილი პროცედურების სრული დაცვით.
პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომლებიც პროგრამის განხორციელების ვადაში შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით N33 (08.05.2018 წ;. ოქმი N 8.) დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რაც თავის მხრივ ადგენს უნივერსიტეტში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმებს, ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას. უნივერსიტეტში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება უნივერსიტეტის სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.
ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ რეგულაცია ითვალისწინებს ადამიანური რესურსებს, პრაქტიკის ობიექტზე არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობასა და პროფესიული სტუდენტების გამტარუნარიანობის შესაძლებლობებს. უნივერსიტეტს ამ ეტაპზე აღნიშნულ მისამართზე ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული პროგრამისთვის გააჩნია 1 (ერთი) A/B გარემო, რომელიც გამოიყენება ასევე C გარემოდ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დგინდება ვიზუალური დათვალიერებით და რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობის კვლევას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში. სტუდენტები აღნიშნული რესურსების შესაბამისობას და ხელმისაწვდომობას აფასებენ დადებითად. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო კომპიუტერები აღჭურვილია ბუღალტრული აღრიცხვის სწავლისთვის საჭირო ბუღალტრული პროგრამების სასწავლო ვერსიით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5 - „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ზოგად და პროფესიულ მოდულებს და არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით # 10-ით (18.05.2020 წ. ოქმი # 2) დამტკიცებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“. დოკუმენტის თანახმად, პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს ფაკულტეტი და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. ,,ბუღალტრული აღრიცხვის" პროგრამა დამტკიცებულია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N37-ით (ოქმი N8, 2015 წლის 5 აგვისტო), ვიზიტის ფარგლებში პროგრამაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ, დაზუსტდა პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი მოდულებთან მიმართებაში. (07.11.2025 აკადემიური საბჭოს N1557351 დადგენილება)

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ: ,,ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია იდენტური სახელწოდების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, ასახავს საქმიანობის სფეროს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია კანონმდებლობით დამტკიცებული "ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, სადაც განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ასევე ახლავს დისტანციური სწავლების დროს სარეკომენდაციო დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით დისტანციური სწავლების მიზანშეწონილობა კონკრეტული მოდულების/სწავლის შედეგების ფარგლებში და სხვ. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს # 10 დადგენილებით (18.05.2020 წ. ოქმი # 2).
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 11 (18.05.2020 წ. ოქმი № 2).
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია”( დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით N33 (08.05.2018 წ;. ოქმი N 8.).
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით # 10-ით (18.05.2020 წ. ოქმი # 2).
- „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- პროგრამის დამტკიცების და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების დადგენილებები;
- გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტისმფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების პროგრამების მიზნებსა და სპეციფიკას. უნივერსიტეტი აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო სივრცეებით, პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო ინვენტარით, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, განავითარონ პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციები რეალურ სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურად დაახლოებულ პირობებში. გარდა ამისა, დაწესებულებაში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს როგორც ინდივიდუალურ მიდგომას, ისე მატერიალური რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას სასწავლო პროცესში. აღნიშნული პირობები მთლიანობაში ხელს უწყობს ხარისხიან პროფესიულ განათლებას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

წინამდებარე პროგრამაზე უნივერსიტეტში სწავლება განხორციელდება დაწესებულების ერთ A/B გარემოში 15 პროფესიული სტუდენტის ადგილით, ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ითვალისწინებს პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსსაც. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია მისი სასწავლო პროცესის მართვაში მონაწილეობა (კერძოდ: მოდულის ადაპტირება,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ[illegible]
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[illegible] [illegible] [illegible] თ. ქვეღაძე [illegible] ნ. მანჯგ[illegible]

შეფასების ინსტრუმენტის შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, ასევე მისი სხვა პროგრამებზე დატვირთვაც რაც ჯამში არ აღემატება კვირეულ 40 საათს. კომპიუტერებში დაინსტალირებულია საბუღალტრო სასწავლო პროგრამა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას. უნივერსიტეტი ,,ბურალტრული აღრიცხვის“ პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას უზრუნველყოფს ადგილზე იმიტირებულ გარემოში, სასწავლო პროცესში ჩართული არიან პრაქტიკოსი ბუღალტრები, რომლებიც რეალურ ქეისებზე დაფუძნებით ახორციელებენ სწავლებას. უნივერსიტეტში ,,ბურალტრული აღზრიცხვის“ პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 40 სტუდენტით. წინამდებარე პროგრამის მიზნებისთვის უნივერეისტს გამოყოფილი აქვს 21 კომპიუტერი, მათ შორის ერთი განკუთვნილია მასწავლებლისთვის, აუდიტორია აღჭურვილია მულტიფუნქციური კომბაინით (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები). პროგრამის განხორციელება აღნიშნულ მისამართზე გათვალისწინებული ორ ცვლაში. ვიზიტის ფარგლებში დათვალიერდა სასწავლო გარემო, რომელიც შეესაბამება პროფესიულ პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასების, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“, განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 9 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ, განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები განხორციელებულ ან მიმდინარე მოდულებზე, სადაც ასახულია კანონმდებლობით დადგენილი ყველა არსებითი პირობა და შესაბამისი პუნქტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია,** კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ,,ბუღალტრული აღრიცხვა“, ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობისა და კოლეჯის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, მათ აქვთ შესაბამისი განათლება ან/და სწავლების, ან/და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება. უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც ისინი დადებითად აფასებენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, კერძოდ, მათ კომპეტენციას. პროფესიული სტუდენტების შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი და პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების შესაბამისი კომპეტენცია. ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების დროს ცალსახად გამოიკვეთა პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციით კმაყოფილება.
აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული მასწავლებლები მუდმივად ინარჩუნებენ კონტაქტს კურსდამთავრებულებთან, საჭიროების შემთხვევაში კურსდამთავრებულებს უწევენ პროფესიულ კონსულტაციას. ასევე, ჩართული არიან პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულებების დასაქმების პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ: უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ერთი ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ იცნობენ პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო სპეციფიკას და გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, რასაც ასევე ადასტურებს ხელმძღვანელის პირადი საქმე- დიპლომით მინიჭებული კვალიფიკაცია და სამუშაო გამცდილების ამსახველი დოკუმენტაცია. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერიუს შედეგად ასევე დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების, განახლების, პროგრამის განმახორციელებელი პირების შერჩევის პროცესში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასების, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ: დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. „ბუღალტრული აღრიცხვის" საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, გაციფრულებულია და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტს აქვს საკანონმდებლო ბაზაზე წვდომა, სტუდენტებისთვის და მასწავლებლებისთვის საკანონმდებლო სიახლეების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, რომელიც აწვდის მოთხოვნილ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ელექტრონულ ვერსიებს. ვიზიტის ფარგლებში საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა დაადასტურეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

ექსპერტთა შეფასების, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ: დაწესებულებას გააჩნია მზაობა და შესაბამისი რესურსი, უზრუნველყოს სსსმ პირებისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერა, მათ შორის – საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა და სწავლის პროცესის ადაპტირებისათვის საჭირო მომსახურება. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით" განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის დამატებითი მხარდაჭერისა და მომსახურების სათანადო მექანიზმებს.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულის მოდიფიკაციასა და/ან აკომოდაციას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებებთან შესაბამისი დამატებითი მომსახურების განსაზღვრას. საჭიროების შემთხვევაში დაინერგება რესურსების ადაპტირება, რათა ისინი სრულად მოერგოს სსსმ პირის ინდივიდუალურ სასწავლო მოთხოვნებს.
აღსანიშნავია, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ამ ეტაპზე სსსმ პირები არ არიან ჩარიცხული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასების, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ: უნივერსიტეტის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის" მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ფაქტობრივი ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- გაცემულ ხელფასს;
- ავტორიზაციის გადასახადი;
- მასალა-ნედლეულის ხარჯი.

ბიუჯეტში ასევე დაფიქსირებულია პროფიციტი, რაც ერთის მხრივ მიუთითებს რესურსების მდგრად განაწილებასა და პროგრამის ფინანსურ სტაბილურობაზე. პროფიციტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში დამატებით დაიფაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, განახორციელოს რესურსების განახლება და უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობა. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფინანსური მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ პროგრამის ბიუჯეტში გაითვალისწინოს პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლების გადამზადებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერისთვის აუცილებელი ხარჯები, მათ შორის შესაბამის ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში მონაწილეობა.  ასევე, ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნას რესურსები სტუდენტთა ინტერესების მხარდაჭერისათვის საჭირო საგანმანათლებლო, დამატებითი ან მოტივაციური აქტივობების დაფინანსებისთვის. საპროგნოზო ბიუჯეტში აუცილებელია განისაზღვროს პროგრამის რენტაბელობის ზღვარი, რაც უზრუნველყოფს ფინანსური რისკების მართვას, რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და პროგრამის გრძელვადიან სტაბილურობას.

**<u>დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია</u> ბიუჯეტში  გაითვალისწინოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსები, ასევე – სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის საჭირო თანხები. საპროგნოზო ბიუჯეტში საჭიროა განისაზღვროს პროგრამის რენტაბელობის ზღვარი, რათა მოხდეს ფინანსური რისკების შემცირება და პროგრამის ოპერირების გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასების, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 11 (18.05.2020 წ. ოქმი № 2).
- „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებლების პირადი საქმეები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი;
- პროფესიული მასწავლებლების დატვირთის სქემა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულება;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ბიბლიოთეკის კატალოგი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის კმაყოფილების კვლევის ანალიზი;
- „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

1.დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მუხლი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის /უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შეფასების მექანიზმებს, რომლისთვისაც მასში გაწერილია პროცედურები, რომელიც უნდა განახორციელოს დაწესებულებამ, რომ უპასუხოს მისი ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს. შესაბამისად დაწესებულების მიერ დაგეგმილია აქტივობები, რომლის საფუძველზეც დადგენილი აქვთ უნივერსიტეტის შიდა გამოწვევები და ასევე გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებები. ასევე პროგრამის შეფასებისა და განვითარებისთვის ამავე მექანიზმის დაცვით დაწესებულება გეგმავს გამოავლინოს პროგრამების განხორციელებაში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. დაწესებულების შიდა კვლევების სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები/პროგრამის განმახორციელებელი პირები და ადმინისტრაციული პერსონალი. გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დადგენისთვის კვლევების სამიზნე აუდიტორია კი - კურსდამთავრებულები, პრაქტიკის განმახორციელებელი ბაზები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვ. კვლევების შედეგების და შეფასების გაანალიზება დაეხმარება დაწესებულებას განახორციელოს მისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. რეგულარული კვლევების განხორციელება არის სასწავლო პროცესებზე დაკვირვების, მონიტორინგის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის ადმინისტრაცია გეგმავს პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ადმინისტრაციის სრულ ჩართულობას; დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევის მეთოდოლოგია. ისინი მათგან მიღებულ უკუკავშირს, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებსა და შემოსულ წინადადებებს გაითვალისწინებენ პროგრამების განხორციელების შეფასებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

2.დაწესებულებაში მოქმედი შიდა ნორმატიული აქტების: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად რისთვისაც მათ მიერ წარმოდგენილი იქნა ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა, დოკუმენტაციები რაც ასახავდა მათივე რეგულაციების შესაბამისად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებულ ხარისხის უზრუნველყოფისთვის ჩატარებული სამუშაოების შედეგებს: კვლევების შეფასებებს, ანალიზსა და შემუშავებულ რეკომენდაციებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია, დამტკიცებული ახალციხის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები,
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,
- გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამების შეფასების დოკუმენტაცია :
- დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მტკიცებულებები;
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ბუღალტრული აღრიცხვა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს მოთხოვნის თანახმად თან ახლავს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო გეგმა შედგენილია თანმიმდევრულად. დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების განმეორებითი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა (2 კვირა). პროფესიულ სტუდენტებთან და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის მიხედვით.
სასწავლო განრიგის შედგენა ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და ელექტრონულად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

2.დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს. პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერვიუებზე დადგინდა, რომ განმახორციელებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარები. პროგრამას აქვს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის, სასწავლო პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

**4.**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას, დაწესებულება ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაც გამოიხატება მოქნილ სწავლების მეთოდებში, ინდივიდუალურ მხარდაჭერაში და პრაქტიკულ და ინკლუზიურ მიდგომაში. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, როგორც შშმ და სსსმ სტატუსის მქონე პირებთან მიმართებაში ასევე, იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სჭირდებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება (მობილობით გადმოსული, სტატუსშეჩერებული და სხვა).

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებული მიდგომით, შესაბამისად დაწესებულებას თანაგანმახორციელებლი დაწესებულება არ ჰყავს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. .დაწესებულებაში შემუშავებულია უსაფრთხოების წესები და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია კოლეჯი თანამშრომლებს რეგულარულად უტარებს საინფორმაციო შეხვედრებს და ინსტრუქტაჟებს. ვიზუალური დათვალიერებითაც დადგინდა, რომ კოლეჯში დამონტაჟებულია მანიშნებლები, კვამლის დეტექტორები, სათანადო ადგილზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.
**ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ბუღალტრული აღრიცხვა;
- სასწავლო გეგმები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #11, 18.05.2020);
- პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #9, 18.05.2020);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #10, 18.05.2020);
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციის და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.დაწესებულების აკადემიური საბჭოს 18.05.2020 წლის N 9 დადგენილებით (ბოლო ცვლილება აკადემიური საბჭოს 2025 წლის 23 ივნისის დადგენილება N732008 ) დამტკიცებულია ,,პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“. რომლის თანახმად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა ეფუძნება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. რეგულაცია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შეფასებისას ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებას, როგორებიცაა: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. სწავლის შედეგების შეფასების წესი ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს: შესაფასებელი სწავლის შედეგების იდენტიფიცირება; სწავლის შედეგებისათვის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა; შეფასების ინსტრუმენტის შექმნა; შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება; შეფასების განხორციელება; შეფასების შედეგების გაფორმება და მტკიცებულებათა შენახვა. **ზემოაღნიშნული წესის მე-10 მუხლში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცედურა სადაც აღნიშნულია, რომ ზოგადი მოდულების, ასევე პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივ ვალიდაციასა და ინსტრუმენტების მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებთან ფორმალურ შესაბამისობას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამისი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტების ჩართულობით (ე.წ/ ვალიდაციის ჯგუფი). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ერთი პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც ხელშეკრულებით განსაზღვრული აქვს 6 დარგობრივი მოდულის განხორციელება. შესაბამისად ბუნდოვანია ვინ შეაფასებს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შედგენილ შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას მოდულით დადგენილ მოთხოვნებთან (ვალიდაცია). მეთოდოლოგიის შესაბამისად ვალიდაციის პროცედურა არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

**ამავე მუხლში აღნიშნულია, რომ შინაარსობრივი მიმართულებით შეფასების ინსტრუმენტების განხილვისას, ვალიდაციის ჯგუფი ხელმძღვანელობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, მოდულით და შეფასების ინსტრუმენტის კონტექსტში ადგენს:**

**ა) შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას შეფასების მიმართულებასთან;**

**ბ) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობას ანუ ინსტრუმენტის რელევანტურობას იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რომელიც ფასდება. ასევე იმას, რომ შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით;**

**გ) შეფასების სისტემის სამართლიანობას, ანუ ინსტრუმენტით გათვალისწინებული პროცესი მისცემს თუ არა საშუალებას პროფესიულ სტუდენტს, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები);**

**დ) შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას, ანუ რამდენად ცალსახად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია.**

**აღსანიშნავია რომ შეფასების სისტემის სამართლიანობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა არ მიემართება შეფასების ინსტრუმენტს,**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არამედ შეფასების პროცესს. შესაბამისად ზემოაღნიშნული შეფასების სისტემის პრინციპები განმარტებულია არასწორად.

დაწესებულებაში ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება. აღსანიშნავია, რომ შეფასების ინსტრუმენტში მოცემული შეფასების მიმართულება არ იყო შესაბამისობაში მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებთან, შესაბამისად დავალებაც შედგენილი იყო  არასწორად. მაგალითად  პრაქტიკული დავალების ნაცვლად შეფასების ინსტრუმენტში მოცემული იყო წერილობით გამოკითხვა და ტესტური დავალებები. აღნიშნული ცხადყოფს, რომ შეფასებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტი არ არის ვალიდური. ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც „ მეტწილად შესაბამისი“ სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია  ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისიწინებულია  შემდეგი აქტივობები :  - 1.  წესში ცვლილება ვალიდაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად ; 2. პროფესიული განათლების  მასწავლებელთა ტრენინგი. აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი.  ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია  ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2.დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია (1.  აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 ივნისის დადგენილება N22)  „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების  და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესი“ სადაც გაწერილია როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით. ვერიფიკაციის მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განისაზღვრება ვერიფიკაციის განხორციელების განრიგი და ვერიფიკატორი (ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც უნდა შედიოდეს: პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის ხელმძღვანელი, ვერიფიკატორი (განათლება), ვერიფიკატორი (დარგი) (იმ დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება). ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში აგრეთვე შეიძლება შედიოდნენ მემორანდუმით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი, პროფესიული სტუდენტი, პირი სამინისტროს მიერ  შექმნილი გუნდიდან ან სხვა პირი. წესი განსაზღვრავს ვერიფიკაციის დაგეგმვას,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებას და ანგარიშის მომზადების პროცედურას. ვერიფიკაციის დასკვნა მზადდება შესაბამისი ფორმის მიხედვით, რომელიც დანართის სახით ახლავს მექანიზმებს.
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესში გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურა როგორც საკვალიფიკაციო, ასევე მოკლევადიანი პროგრამებისთვის. „რეკომენდებულია შეიცვალოს აღნიშნული მექანიზმის სახელწოდება, ვინაიდან არსებული ფორმულირება — „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესი" — არ ასახავს დოკუმენტის შინაარსს სრულყოფილად..

დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ვერიფიკაციის პროცედურასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგ ეტაპებად:
ა) ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა
ბ) რეგულაციის შემუშავება
გ) რისკების განსაზღვრა
დ) ვერიფიკაციის განხორციელება
ე) შედეგის ანალიზი
ვ) უკუკავშირი - დაგეგმვა

დაწესებულებამ აღნიშნული დოკუმენტაციიდან წარმოადგინა მხოლოდ ვერიფიკაციის ანალიზი., დაწესებულებას არ წარმოუდგენია ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანება, ვერიფიკაციის გეგმა და რისკების სქემა. ექსპერტთა ჯგუფისთვის უცნობია, როგორ დაიგეგმა და განხორციელდა ვერიფიკაციის პროცესი
ვერიფიკაციის ანალიზში აღნიშნულია, რომ საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის რისკების მიხედვით შეარჩია 3 პროფესიული მოდული, რომელიც განხორციელდა 2025 წლის 23-27 ივნისს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, ობიექტურობის, გამჭვირვალეობისა და სამართლიანობის შემოწმება აღნიშნულ ვადაში არარეალისტურია. აგრეთვე, ვერიფიკაციის დასკვნაში, არ იკვეთება არასწორად შედგენილ შეფასების ინსტრუმენტისა და ვალიდაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის საკითხი. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულია მხოლოდ ტექნიკური ხასიათის რეკომენდაცია. ვერიფიკაციის ანალიზს ხელს აწერს მხოლოდ განათლების ვერიფიკატორი - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი , ასევე ანგარიშს არ ახლავს თარიღი.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაწესებულების მიერ განხორციელებული ვერიფიკაცია არასრულყოფილია და არ ასახავს რეალურად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შემოწმების შედეგებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაწესებულების მიერ განხორციელებული ვერიფიკაცია არასრულყოფილია და არ ასახავს რეალურად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შემოწმების შედეგებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც „ მეტწილად შესაბამისი" სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმავითარებელი შეფასებაც, .განმავითარებელი შეფასება როგორც ცოდნის, ისე სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.
აღნიშნული შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეამოწმოს სტუდენტის გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.
სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სტუდენტთა ინფორმირებულობა შეფასების შედეგების შესახებ ხდება განზოგადოებულად. კონკრეტული სტუდენტის შეფასების შედეგები განიხილება მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი";
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვერიფკაციის დასკვნა;
- ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესი";
- გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში**

*გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში.*

***ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.***

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სატყეო საქმე |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში / Secondary Vocational Qualification in Forestry |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0821 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ 119 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა | 10 |
| პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში) | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 101 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 48 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 131 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 78 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მებოსტნე |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებოსტნეობაში / Basic Vocational Qualification in Horticulture |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0811 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ 119 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა | 0 |
| პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში) | 0 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 60 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 75 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Secondary Vocational Qualification in Electricity; |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ 119 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა | 11 |
| პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში) | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 127 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 70 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 157 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 100 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საბაჟო საქმე |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში / Higher Vocational Qualification in Customs Study |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1032 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ 119 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა | 13 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 93 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 123 |

**ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

09.01.2026წ.

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: